დანართი №6



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ
შ.პ.ს. ხერხემის კერძო სკოლის

ექსპერტთა ჯგუფის წევრები **თავმჯდომარე:** ნინო შიუკაშვილი **წევრ(ებ)ი:** ლელა ეუაშვილი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შ.პ.ს. ხერხემი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	224089420

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ახალციხე, დიდიმამიშვილის ქ. 3
ფაქტობრივი მისამართი	ახალციხე, დიდიმამიშვილის ქ. 3
საფოსტო ინდექსი	0800
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://xerxemi.edupage.org/contact.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	mzekaschool@yahoo.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	571900952 / 0365223649

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	**2026 წლის 25 თებერვლის MES 6 26 0000219461 ბრძანება**
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	**26-27 მარტი**

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 25 თებერვლის MES 6 26 0000219461 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრთა ვიზიტი ქ. ახალციხის ხერხემის კერძო სკოლაში.

ვიზიტის მიზანი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება შემოწმება განხორციელდა გეგმური მონიტორინგის გზით (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით).

ვიზიტამდე ექსპერტებმა შეისწავლეს წინა საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველზე ექსპერტების დასკვნა, ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი და გადაწყვეტილება, ასევე სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია.

დაწესებულებაში ექსპერტებს კეთილგანწყობილი და თანამშრომლობითი გარემო დაგვხვდა. ორი სავიზიტო დღის განმავლობაში ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია , ადგილზე დათვალიერებით შესაწავლილ იქნა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, E-school -ის პლატფორმა.

ვიზიტის პერიოდში შედგა სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრა. ინტერვუიების საფუძველზე შესწავლილი იქნა სკოლაში მიმდინარე შიდა პროცესები.

ხაზგასასმელია მშობლებთან შეხვედრა და ინტერვიუირება. შეხვედრაზე სამივე საფესხურის მშობლები იმყოფებოდნენ. მათ კმაყოფელება გამოთქვეს სკოლის მიმართ . რამდენიმე მშობელმა კი წუხილი გამოთქვა სახელმწიფოს , კერძოდ განათლების სამინისტროს ნაკლებჩართულებაზე კერძო სკოლების განვითარებასა და მოსწავლეების სახელმძღვანელოებითა და ბუკებით უზრუნველყოფის თაობაზე.

ვიზიტის დასრულებისას ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს ინფორმაცია მიაწოდეს იმ მიგნებების შესახებ, რომლების ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
175	107

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დანართები.
*დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სკოლის არგუმენტირებული პოზიციას და შესაბამისად, რიგი მტკიცებულებისა და არგუმენტებისა არ იქნა გაზიარებული , შესაბამისი ინდიკატორები საბოლოო დასკვნაში, შეფასებულია როგორც **„შეესაბამო“** . ხოლო იმ ინდიკატორებთან მიმართებაში, რომელთა მოთხოვნის შესაბამისი მტკიცებულებები გაზიარებულ იქნა ექსპერტების მიერ საბოლოო დასკვნაში შეფასებული იქნა როგორც **„მეტწილად შეესაბამება“,** ხოლო , წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად, რიგი ინდიკატორებისა შეფასდა როგორც **„შეესაბამება“.***

I, III და IV სტანდარტების ინდიკატორები, რომლებიც სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმისგათვალისწინებით, დასკვნის ფარგლებში შეფასდა როგორც “ არ შეესაბამება”

1. **ინდიკატორი 1.1.1.3 სკოლის მისია ,ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**
   ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც შეუსაბამო.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, მომავალში განხორციელდება სკოლის ფილოსოფიის რევიზია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით (ვადებად განსაზღვრულია 17.04.2026- 30.07.2026 პერიოდი). თუმცა, არსებული მდგომარეობით სკოლამ ვერ დაადასტურა მოქმედი მისია ხედვა ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, შესაბამისად ინდიკატორის შეფასება დარჩა - **შეუსაბამო.**

2. **ინდიკატორი 1.1.1.4 სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ** .
   ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც შეუსაბამო.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად მომავალში მოხდება სკოლის ფილოსოფიის რევიზია და საბოლოო სახით ჩამოყალიბება, რის შემდგომაც დამტკიცებული დოკუმენტი გაზიარდება სასკოლო საზოგადოების მიერ (ვადებად განსაზღვრულია 17.04.2026- 30.07.2026 პერიოდი). თუმცა, არსებული მდგომარეობით სკოლამ ვერ დაადასტურა მოქმედი მისია ხედვა ღირებულებების გაზიარების მტკიცებულება, შესაბამისად ინდიკატორის შეფასება დარჩა - **შეუსაბამო.**

3. **ინდიკატორი 1.2.1.1 სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც შეუსაბამო .
არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად . სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, მომავალში მოხდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება.(ვადებად განსაზღვრულია 17.04.2026- 30.07.2026 პერიოდი). თუმცა, არსებული მდგომარეობით სკოლამ ვერ დაადასტურა მოქმედი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება . შესაბამისად ინდიკატორის შეფასება დარჩა - **შეუსაბამო.**

4. **ინდიკატორი 1.2.2.2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**

ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც შეუსაბამო.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლამ შექმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი ,რომელიც <u>მომავალში</u> უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესის სისტემურ დაგეგმვასა და განხორციელებას.პროცესის დასრულების ვადად შესაბამისობის გეგმაში სკოლამ განსაზღვრა ვადები(17.04.2026- 01.09.2026 წ.) თუმცა, არსებული მდგომარეობით სკოლამ ვერ დაადასტურა <u>მოქმედი</u> სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. შესაბამისად ინდიკატორის **შეფასება დარჩა -შეუსაბამო.**

5. **ინდიკატორი 1.2.2.3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;**

ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც შეუსაბამო.
არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლის მიერ წარმოდგენილია სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (№02-10; 20.04.2026წ.). სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას. თუმცა, არსებული მდგომარეობით სკოლამ ვერ წარადგინა მოქმედი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები , შესაბამისად ინდიკატორის **შეფასება დარჩა - შეუსაბამო**

6. **ინდიკატორი.1.2.2.4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.**

ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც შეუსაბამო.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლის მიერ წარმოდგენილია სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (№02-10; 20.04.2026წ.). სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებს. თუმცა, არსებული მდგომარეობით სკოლამ ვერ წარადგინა მოქმედი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები , შესაბამისად ვერ დგინდება მათი გამოყენების ფაქტები სკოლის შემდგომი განვითარებისათვის . ინდიკატორის **შეფასება დარჩა - შეუსაბამო.**

7. **ინდიკატორი N 3.1.2.4 პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,** ვინაიდან სკოლაში დასაქმებული ჰყავდა არასეტიფიცირებული პედაგოგები, რომელთა კველიფიკაცია და საათობრივი დატვირთვა არ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულს. მასწავლებელთა ელექტრონული ბაზის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია მხოლოდ 7 უფროსი სტატუსის მქონე პირი, ხოლო 14 უსტატუსო მასწავლებელი . აქედან 2 პედაგოგს ჩაბარებული ჰქონდა საგნის სასერტიფიკაციო გამოცდა და გადიოდა მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიან პროგრამას, საათობრივი ბადისა და პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ არასეტიფიცირებულ პედაგოგებთან სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა როგორც მოწვეული მასწავლებლთან, საათობრივი დატვირთვა კი აღემატებოდა კანონმდებლობით (კანონი ზოგადი განათლების შესახებ ღ9) დადგენილ რაოდენობას. (9 საათის ნაცვლად 10 -დან 23 საათამდე).

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან და შესაბამისობის გეგმასთან ერთად დანართების სახით წარმოადგინა სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციისთან ერთად დანართების სახით წარმოადგინა ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ ვაკანტური საათების შესავსების მიზნით , ასევე მტკიცებულებად დაურთო JOBS.ge -s პლატფორმის ფოტო .

ექსპერტები ითვალისწინებენ , რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები, ხარვეზის აღმოსაფხვრელად გადადგა ქმედითი ნაბიჯები. თუმცა ექსპერტები არ დაეთანხმნენ სკოლის პოზიციას, რომ ინდიკატორი შეფასებულიყო როგორც **მეტწილ შესაბამისი,** რადგან ზემოაღწერილი ხარვეზი არის უკვე დამდგარი ფაქტი , რაც მიუთითებს **სკოლის მხრიდან დარღვეული იყო კანონი ზოგადი განათლების შესახებ ღ9 პუნქტი** და **ინდიკატორი N 3.1.2.4** შეფასდა , როგორც **არ შეესაბამება.**

ხარვეზი: სკოლაში დასაქმებულია არასეტიფიცირებული პედაგოგები, რომელთა კველიფიკაცია და საათობრივი დატვირთვა არ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულს.

8. **ინდიკატორი N 3.2.1.2 პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,** ვინაიდან სკოლა არ ახორციელებს პერსონალის განვითარებას გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე და არ აქვს შემუშავებული შესაბამისი გეგმა.

სკოლამ ექსპერტთა ვიზიტისას ვერ წარმოადგინა 2023-2024 წლისა და 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის შედეგების ანგარიშები, ასევე შიდა პროცესების შეფასების ვერცერთი მტკიცებულება , რის საფუძველზეც დგინდება პერსონალის განვითარების საჭიროებები, გარდა გაკვეთილზე დასწრებისა და შეფასების შევსებული ფორმებისა. რაც ,ექსპერტების აზრით, ეჭვქვეშ აყენებს იმას, რომ სკოლაში ნამდვილად მიმდინერეობდა ხარისხის მონიტორინგი და წაჭიროებების კვლევა . (იხ. ინდიკატორის აღწერა)

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთენ ერთად დანართების სახით წარმოადგინა:

- ბრძანება # 02.11 , 20.04.26 წ. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მე-20 მუხლში დეტალურად არის გაწერილი პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები;
- პერსონალის განვითარების მექანიზმები(5.1 პუნქტი) და პერსონალის პროფესიული განვითარების ინიციატივის წარდგენის ფორმა .
- ბრძანება # 02.10 , 20.04.26 წ. შეფასებისა და მონიტორინგის ჯუფის შექმნის შესახებ

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინა, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაზე(17.04.2026-17.04.2027)ადრე შეძლო ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის წარმოდგენა. რაც მოწმობს , რომ სკოლას აქვს მზაობა შემუშავებული მექანიზმების გამოყენებისა და შესაბამისი აქტივიობების განხორციელებისა. თუმცა , გამომდინარე იქიდან, რომ **წინა მონიტორინგის დასკვნაში ამავე ინდიკატორთან მიმართებაში , შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში , 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 5 დეკემბრამდე, უნდა უზურნველეყო ხარვეზის აღმოფხვრა** შესაბამისად, ხარვეზი ნაწილობრივ აღმოიფხვრა თუმცა ზემოაღჭერილი ზარვეზი არის უკვე დამდგარი ფაქტი, სკოლა წინააღმდეგობაში მოდის თავისივე სამართლებრივი აქტების მოთხოვნებისა და შესაბამისობის გეგმაში გაწერილ პირობებთან , ამიტომ, **ინდიკატორი N 3.2.1.2** ექსპერტების მიერ შეფასებული იქნა როგორც **არ შეესაბამება.**

ხარვეზი: სკოლას არ აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები
სკოლა არ ახორციელებს პერსონალის განვითარებას გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე და არ აქვს შემუშავებული შესაბამისი გეგმა

9. ინდიკატორი N 3.3.1.1 სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც არ შეესაბამება, ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა სხვა სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (იხ. ნარატივი);
სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა არ ხორციელდებ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და არ ეფუძნება პროცესულ მიდგომებსა და ზარისხის უზრუნველყოფის ციკლს.
სკოლამ ვერ წარმოადგინა ხარისხის მინიტორინგისა და მისი ანალიზის ვერცერთი მტკიცებულება. (იხ. ნარატივი)

სკოლის მიერ წარმოდგენილი ხარისხის შეფასებისა და უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტები არ იყო სრულყოფილი, წარმოდგენილ იქნა მხოლოდ გაკვეთილზე დასწრების ფორმა. სკოლამ ვერ წარმოადგინა ხარისხის ჯგუფის მიერ სხვა მიმდინარე პროცესების შეფასების ვერცერთი მტკიცებულება, ასევე კათედრების მიერ გაკვეთილებზე დასწრების გეგმა, გაცემული უკუკავშირის შევსებული ფორმები, კითხვარები, მონიტორინგის ჯგუფის 2023-2024 წ. ანგარიში,რომელიც უნდა მოიცავდეს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში გაწერილი ყველა მიმართულების შეფასებას და რომელის ანალიზსაც უნდა ეფუძნებოდეს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან დადგინდა, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა არ ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და არ ეფუძნება პროცესულ მიდგომებსა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. სკოლას გააზრებული არ აქვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგის მნიშვნელობა ხარვეზების იდენტიფიცირების, მათი დროულად აღმოფხვრისა და სტრატეგიული განვითარებისათვის.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან და შესაბამისობის გეგმასთან ერთად დანართების სახით წარმოადგინა :

- ბრძანება # 02.12 , 20.04.26 წ. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში ცვლილების შეტანისა და დამტკიცების შესახებ.
- ბრძანება # 02.10 , 20.04.26 წ. ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის ჯუფის შექმნის შესახებ

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლამ ექსპერტთა ვიზიტისას ფაქტობრივად ვერ წარმოადგინა ხარისხის შესასების ვერცერთი მტკიცებულება, ახლა სრულყო ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, ასევე ახლა შექმნა ხარისხის შეფასების და მონიტორინგის ჯგუფი და შესაბამისად, ვიზიტის პერიოდში ვერ განახორციელებდა შეფასებას , ამასთან, შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (17.04.26-17,04.27) გეგმავს ხარისხის შეფასებას , რაც თავის მხრივ ეწინააღმდეგება სამოქმედო გეგმაში გაწერილ ვადებს, .ექსპერტები არ ეთანხმებიან სკოლის პოზიციას და აღნიშნული **ინდიკატორი N 3.3.1.1** შეფასებული **რჩება როგორც შეუსაბამო.**

ხარვეზი: სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა არ ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და არ ეფუძნება პროცესულ მიდგომებსა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.

სკოლამ ვერ წარმოადგინა ხარისხის მონიტორინგისა და მისი ანალიზის ვერცერთი მტკიცებულება.

10. **ინდიკატორი N 3.4.1.8 სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,** ვინაიდან სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას,

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა , რომელშიც განსაზღვრული აქვს ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადები 17.04.26წ-17.04.27 წ. შესაბამისობის გეგმაშივე დაფიქსირებულია სკოლის პოზიცია, ,, სკოლა ყოველდღიურ რეჟიმში ზრუნავს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებაზე, თუმცა დოკუმენტურად აღნიშნული არ ხორციელდებოდა, ხერხემი მაქსიმალურად გაითვალისწინებს და განახორციელებს პერიოდულ შეფასებას დოკუმენტური ფორმით“

ზემოაღწერილი მოწმობს , რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები, თუმცა მისი პოზიცია არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს, მნიშვნელოვანია, არსებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ეფექტურობის პერიოდული შეფასება, რათა შეფსების ანალიზის საფუძველზე დროულად იქნეს მიღებული ზომები და გაუმჯობესდეს მექანიზმები.

შესაბამისად ,**ინდიკატორი N 3.4.1.8** შეფასებულია როგორც **შეუსაბამო.**

ხარვეზი: სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას.

I, III და IV სტანდარტების ინდიკატორები, რომლებიც სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, საბოლოო დასკვნის ფარგლებში შეფასდა როგორც “მეტწილად შეესაბამება”:

11. ინდიკატორი N 3.4.1.1 სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,** ვინაიდან ვიზიტისას სკოლამ ვერ წარმოადგინა მიმართავა ან/და დასკვნა უფლებამოსილ უწყებასის მიერ გაცემული შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. (იხ. ინდიკატორის აღწერა)

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთენ ერთად დანართების სახით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრული აქვს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის დასკვნის მოპოვების ვადები (17.14.26წ-01.09.26 წ) და განცხადება 20.04.26 წ. შუამდგომლობის მოთხოვნით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედ უწყებასთან .
ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლი არგუმენტირებული პოზიცია შესაბამისად , ***ინდიკატორი N3.4.1.1*** შეფასდა **მეტწილ შესაბამისი.**

სკოლას მიეცა რეკომენდაცია :

სკოლამ უფლებამოსილ უწყების მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ წარმოადგინოს შესაბამისობის გეგმაში გეწერილ ვადებში 17.14.26წ-01.09.26 წ

12. ინდიკატორი N 3.6.2.2 სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,** ვინაიდან სკოლას არ აქვს ელექტორნული საქმისწარმოება.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობი გეგმა , რომელშიც განსაზღვრული აქვს ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადები 17.04.26წ-17.04.27 წ. და აიღო პასუხისმგებლობა , რომ აღნიშნული ვადების დაცვით შეძლებს უზრუნველყოს ელექტორნული საქმისწარმოება.
ზემოაღწერილიდან გამომდინარე , ექსპერტები იზიარებენ სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებს ხარვეზის აღმოფხვრის ვადებს . შესაბამისად, **ინდიკატორი N 3.6.2.2** შეფასდა **როგორც მეტწილ შესაბამისი.**

რეკომენდაცია : სკოლამ უზრუნველყოს ელექტრონული საქმისწარმოება დოკუმენტბრუნვა შესაბამისობეში გაწერილ ვადაში 17.04.26წ-17.04.27 წ .

13. ინდიკატორი N 3.7.1.1 სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,** ვინაიდან სკოლა ფინანსური რესურსით ვერ უზრუნველყოფს მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმების დოკუმენტში გაწერილი მიზნების (მე-3 პუმქტი) შესასრულებლად .

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობი გეგმა , რომელშიც განსაზღვრული აქვს ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადები 17.04.26წ-17.04.27 წ. სკოლამ აიღო პასუხისმგებლობა , რომ აღნიშნული ვადების დაცვით უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, თუმცა, რა თქმა უნდა, იზრუნებს ბიუჯეტის გაზრდაზეც, სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმების დოკუმენტში გაწერილი მიზნების (მე-3 პუმქტი) შესასრულებლად .

ზემოაღწერილი მოწმობს , რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები . ექსპერტები ითალისწინებენ რა **N 3.4.1.1** და **N 3.4.1.2** ინდიკატორების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ფინანსური რესურსი გამოყოფის ფაქტს(ექიმის კაბინეტის აღჭურვა, სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება) **ინდიკატორი N 3.7.1.1** შეფასდა როგორც **მეტწილ შესაბამისი.**

გაიცა რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში(17.04.26წ-17.04.27 წ. **)შეძლოს ფინანსური რესურსის გაზრდა და უზრუნველყოს მატერიალურ- ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმების დოკუმენტში გაწერილი მიზნების (მე-3 პუმქტი) შესასრულებლად .**

I, III და IV სტანდარტების ინდიკატორები, რომლებიც სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმისგათვალისწინებით, დასკვნის ფარგლებში შეფასდა როგორც "შეესაბამება":

14. **ინდიკატორი N 3.1.2.3 პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,** ვინაიდან სკოლის 8 თანამშრომელს პირად საქმეში არ ჰქონდა ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან და შესაბამისობის გეგმასთან ერთად დანართების სახით წარმოადგინა რვავე თანამშრომლის ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ.
წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინა, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაზე ადრე შეძლო მოთხოვილი დოკუმენტების მოპოვება, შესაბამისად, აღმოიფხვრა ხარვეზი და **ინდიკატორი N 3.1.2.3** ექსპერტების მიერ შეფასებული იქნა როგორც **შეესაბამება.**

15. **ინდიკატორი N 3.2.1.1 სკოლას არ აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები "**

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც არ შეესაბამება, ვინაიდან სკოლა არ ჰქონდა შემუშავებული პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან და შესაბამისობის გეგმასთან ერთად დანართების სახით წარმოადგინა მტკიცებულებები:

- ბრძანება # 02.11 , 20.04.26 წ. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მე-20 მუხლში დეტალურად არის გაწერილი პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები;
- ბრძანება # 02.12 , 20.04.26 წ. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში მე-5 და მე-6 მუხლში გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის ;
- პერსონალის განვითარების მექანიზმები(5.1 პუნქტი) და პერსონალის პროფესიული განვითარების ინიციატივის წარდგენის ფორმა .
- ბრძანება # 02.10 , 20.04.26 წ. შეფასებისა და მონიტორინგის ჯუფის შექმნის შესახებ

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინა, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაზე ადრე შეძლო მოთხოვილი დოკუმენტების მოპოვება, შესაბამისად, აღმოიფხვრა ხარვეზი და **ინდიკატორი N 3.2.1.1** ექსპერტების მიერ შეფასებული იქნა როგორც **შეესაბამება.**

16. ინდიკატორი N 3.2.1.4 სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,** ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგეილ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში არ იკითხებოდა თანამშრომელთა ინტერირებისა და ადაპტაციის მექანიზმები სკოლის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი რაიმე სხვა სახის მტკიცებულება ან დოკუმენტი, რომელითაც იგი ხელმძღვანელობს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაცისა ან/და ადაპტაციასის უზრუნველსაყოფად.

შესაბამისად ,ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც შეუსაბამო.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დანართების სახით წარმოადგინა:

- ბრძანება # 02.11 , 20.04.26 წ. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მე-10 მუხლის, 10.1 პუნქტში იკითხება სკოლის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად განსაზღვრულია თანამშრომლების მოზიდვა და ადაპტაციის ხელშეწყობა
- ბრძანება # 02.13 , 20.04.26 წ.ახალი თანამშრომლის მოწყობისა და ადაპტაციის მექანიზმების შესახებ.
- დოკუმენტი სახელწოდებით ,, შპს ხერხემის კერძო სკოლის ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მოწყობისა და ადაპტაციის პროცედურა“

ზემოაღწერილი მოწმობს , რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები, ექსპერტების მიერ გაზიარებულ იქნა სკოლის პოზიცია , შესაბამისად **ინდიკატორი N 3.2.1.4** შეფასდა **როგორც შესაბამისი .**

17. **ინდიკატორი N 3.4.1.2** ***სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას***

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,** ვინაიდან მომართვიანობის აღრიცვის ჟურნალი და ექიმის კაბინეტის აღჭურვილობა არ შეესაბამებოდა №41/ნ/01-23/ნ2022 წლის 21 მარტის. დადგენილების მოთხოვნებს.(იხ. ინდიკატორის აღწერა)

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთენ ერთად დანართების სახით მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისობი გეგმა , რომელშიც განსაზღვრული ჰქონდა ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადები 30.03.26წ-30.03.27 წ. თუმცა სკოლამ შეძლო , განსაზღვრულ ვადაზე ადრე აღმოეფხვრა ხარვეზი და წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ფორმების(№41/ნ/01-23/ნ2022 წლის 21 მარტი) შესაბამისი მომართვიანობის ჟურნალის ფოტოები, ასევე მაცივრის შეძენის დამადასტურებელი ქვითარი და მაცივრის ფოტო.
ზემოაღწერილის გათავლისწინებისთ, ექსპერტების მიერ გაზიარებული იქნა სკოლის პოზიცია და შესაბამისად, **ინდიკატორი N 3.4.1.2** შეფასდა, **როგორც შესაბამისი.**

18. ინდიკატორი N 3.5.1.2 დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი არ არის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,** ვინაიდან დაწესებულების საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი არ არის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების შშმ წევრებისთვის. (იხ. ინდიკატორის აღწერა)

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დანართების სახით მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისობი გეგმა , რომელშიც განსაზღვრული ჰქონდა ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადები 30.03.26წ-30.03.27 წ.
თუმცა სკოლამ შეძლო , განსაზღვრულ ვადაზე ადრე აღმოეფხვრა ხარვეზი და წარმოადგინა 20.04.26წ.-ის ბრძანება # 02.08 სასკოლო საზოგადოების შშმ პირისთვის დამხმარე პირის გამოყოფის შესახებ.
ზემოაღწერილის გათავლისწინებისთ, ექსპერტების მიერ გაზიარებული იქნა სკოლის პოზიცია შესაბამისად. **ინდიკატორი N 3.5.1.2** შეფასდა, **როგორც შესაბამისი.**

19. **ინდიკატორი N 3.5.1.3 სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,** ვინაიდან სკოლა არ აწარმოებს წიგნადი ფონდის სარეგისტრაციო ჟურნალს(კატალოგიზაციას), არ აქვს კარტოთეკა.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დანართების სახით წარმოადგინა შესაბამისობი გეგმა , რომელშიც განსაზღვრული ჰქონდა ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადები 17.04.26წ-17.04.27 წ. რომელშიც აღნიშნულია, რომ სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები, რომელიც აქამდეც ჰქონდა და ასევე აქვს კარტოთეკა, კერძოდ ბარათები, რომელსაც იყენებს წიგნების გაცემის დროს, თუმცა სკოლა გაითვალისწინებს და უფრო ყურადღებით მოეკიდება აღნიშნულ საკითხს. თუმცა , უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტისას ექსპერტების მიერ მოთხოვნილი იქნა ზომოჩამოთვლილი მტკიცებულებები, მაგრამ სკოლის მიერ არ იქნა მოწოდებული.
სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო ჟურნალის, მკითხველის ბარათების, კათოთეკისა და ბიბლიოთეკაში განთავსებული ლეპტოპის ფოტოები, რაც მოწმობს, რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და აღმოფხვრა ხარვეზი.
ზემოაღწერილის გათავლისწინებისთ, ექსპერტების მიერ გაზიარებული იქნა სკოლის პოზიცია და ის, რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები. შესაბამისად. **ინდიკატორი N 3.5.1.3** შეფასდა, როგორც შესაბამისი.

20. ინდიკატორი N 3.5.1.4 სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,** ვინაიდან ექსპერტთა ვიზიტისას სკოლა ვერ ქმნიდა ინკლუზიურ გარემოს, არ ჰქონდა რესურს ოთახი , ასევე , კიბის დახრის კუთხის გათვალისწინებით, შეუძლებელია მასზე ეტლით გადაადგილება , ადაპტირებული საპირფარეშო არ აკმაყოფილებდა საქ. მთავრობის №41 დადგენილების, IX თვის, 30-ე მუხლის მოთხოვნებს.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობი გეგმა , რომელშიც განსაზღვრული ჰქონდა ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადები 30.03.26წ-30.03.27 წ. თუმცა სკოლამ შეძლო , განსაზღვრულ ვადაზე ადრე აღმოეფხვრა ხარვეზის ნაწილი. კერძოდ, შეძლო რესურს ოთახის მოწყობა, ასევე ადაპტირებული საპირფარეშოს ზომები მოიყვანა საქ. მთავრობის №41 დადგენილების, IX თვის, 30-ე მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. დანართის სახით მტკიცებულებად წარმოადგინა რესურს ოთახისა და ადაპტირებული საპირფარეშოების ფოტოები.

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლამ ბრძანებით განსაზღვრა შშმ პირის დამხმარე პირი , რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ეტლით მოსარგებლე პირის მეორე სართულზე გადაადგილებას, ექსპერტები ითვალისწინებენ სკოლის არგუმენტს კიბის რეკონსტრუქციასთან მიმართებაში და მათი გადაწყვეტილებით **ინდიკატორი N 3.5.1.4 შეფასდა როგროც შესაბამისი.**

21. ინდიკატორი N 3.6.2.1 სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,** ვინაიდან ექსპერტთა ვიზიტისას სკოლაში დარღვეული იყო სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოების წესი (თავი 2 , მუხლი 19,მუხლი 20) ჟურნალები არ იყო ზონარგაყრილი, ბეჭდით დამოწმებული, დანომრილი, ასევე შესწავლილი სამართლებრივი აქტების ,ბრძანებების ნომერი და შინაარსი არ ემთხვეოდა ჟურნალში გატარებულ სარეგისტრაციო ნომერსა და მოკლე აღწერილობას.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დანართების სახით მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისობი გეგმა , რომელშიც განსაზღვრული აქვს ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადები 17.04.26წ-17.04.27 წ.

სკოლამ შეძლო ხარვეზის ნაწილობრივ აღმოფხვრა, სარეგისტრაციო ჟურნალები დანომრეს, ასევე დაამოწმეს ბეჭდით. შენიშვნის გრაფაში აღწერილი იქნა შეცდომა და ახსნა-განმარტება დამოწმებული იქნა ხელმოწერითა და ბეჭდით. ასევე აღნიშნულ იქნა, რომ გათვალისწინებული იქნება ექსპერტთა მიგნებები და დაცული იქნება ჟურნალების წარმოების წესი. ზემოაღწერილი მოწმობს , რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები . შესაბამისად **ინდიკატორი N 3.6.2.1 შეფასდა როგორც შესაბამისი.**

სკოლას მიეცა რჩევა:

რჩევა ; სასურველია სკოლამ , საქმისწარმოების დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველსაყოფად , გაცემული სამართლებრივი აქტები, ბრძანებები , კორესპონდენცია გაცემისთანავე გაატაროს სარეგისტრაციო ჟურნალებში. დაიცვას სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოების წესი საქმისწარმოების დადგენილი წესის შესაბამისად.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N 1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სკოლამ ვერ წარმოადგინა მისია , ხედვა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების გარკვეული სეგმენტის (მოსწავლეების და მშობლების) ჩართულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები
ინდიკატორი N 1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.	სკოლამ ვერ დაადასტურა მტკიცებულებებით სკოლის ფილოსოფიის გაზიარების პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა სეგმენტის ჩართულობა.
ინდიკატორი N 1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია პრაქტიკაში არ ხორციელდება დოკუმენტში განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. სკოლამ ვერ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მტკიცებულებები.
ინდიკატორი N 1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და	დაწესებულებას არ ჰყავს მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფი ,რომელიც უზრუნველყოფდა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

	სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	,ასევე, დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია/ანგარიში.
1.2.2.3	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა	სკოლამ ვერ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების ანგარიშები.
1.2.2.4	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის	სკოლამ ვერ წარმოადგინა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები,რაც გამოიყენება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების კორექტირების ან გაუმჯობესების მიზნით .
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*ხარვეზი*
ინდიკატორი N 3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	სკოლაში დასაქმებულია არასეტიფიცირებული პედაგოგები, რომელთა კველიფიკაცია და საათობრივი დატვირთვა არ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულს.(**იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N 3.2.1.2	*პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად*	სკოლა არ ახორციელებს პერსონალის განვითარებას გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე და არ აქვს შემუშავებული შესაბამისი გეგმა
ინდიკატორი N 3.3.1.1	*სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ*	სკოლა არ ახორციელებს პერსონალის განვითარებას გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე და არ აქვს შემუშავებული შესაბამისი გეგმა

	მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს	
ინდიკატორი N 3.4.1.8	*სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის*	სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას,

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო*	სკოლამ უფლებამოსილ უწყების მიერ გაცემული დასკვნ შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთ შესაბამისობის შესახებ წარმოადგინოს შესაბამისობის გეგმაშ გეწერილ ვადებში 17.14.26წ-01.09.26 წ

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N 3.6.2.2	*სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა*	**სკოლამ უზრუნველყოს ელექტრონული საქმისწარმოება დოკუმენტბრუნვა შესაბამისობეში გაწერილ ვადაში 17.04.26წ-17.04.27 წ .**
ინდიკატორი N 3.7.1.1	*სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება*	**სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში(17.04.26წ-17.04.27 წ.)შეძლოს ფინანსური რესურსის გაზრდა და უზრუნველყოს მატერიალურ- ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმების დოკუმენტში გაწერილი მიზნების (მე-3 პუმქტი) შესასრულებლად .**

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სასურველია ,ზოგადი შინაარსის ფრაზა ,, არსებული ადამიანური რესურსი, ,,არსებული ფინანსური რესურსი'' და ,,არსებული მატერიალური რესურსი'' უფრო დეტალურად დაკონკრეტებული იყოს.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N 3.3.2.2	უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა	სასურველია, სკოლამ კველევებისთვის შეადგინონ გამოკითხვის ფორმები (კითხვარები), შედეგების ანალიზი და დასკვნა წარმოადგინოს დოკუმენტის სახით.
ინდიკატორი N 3.5. 1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	**: სასურველია , სკოლამ პერიოდულად განაახლოს წიგნადი ფონდი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, და ხელი შეუწყოს წიგნის კითხვის პოპულარიზაციას.**

ინდიკატორი 3.6.2.1	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი*	**სასურველია ,** **სკოლამ , საქმისწარმოების დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველსაყოფად , გაცემული სამართლებრივი აქტები, ბრძანებები , კორესპონდენცია გაცემისთანავე გაატაროს სარეგისტრაციო ჟურნალებში. დაიცვას სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოების წესი საქმისწარმოების დადგენილი წესის შესაბამისად.**
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N 4.2.1.3.	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად	სასურველია , მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერისა და კონსულტირების პროცესის ფორმალიზება სკოლამ ცალკე დოკუმენტის სახით ჩამოაყალიბოს
ინდიკატორი N 4.2.1.6	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას	სასურველია , სკოლამ მარეგულირებელ დოკუმენტში გაწეროს, თუ როგორ, რა პერიოდულობით და რა მექანიზმებით იღებს უკუკავშირს მოსწავლეებისგან, მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლებისგან, მასწავლებლებისგან და როგორ ხდება ამ უკუკავშირის საფუძველზე მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობებსება.
ინდიკატორი N 4.2.2.3.	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს	სასურველია , სკოლამ ჩაატაროს გამოკითხვა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით ,რომლის შედეგების ანალიზიც უზრუნველყოფს უფრო ხარისხიანი პროფესიული ორიენტაციის მომსახურების განხორციელებას.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*	*შენიშვნა*
ინდიკატორი N 1.2.2.2	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;	უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით სტანდარტების შესაბამისობის გეგმის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამის ვადებში, კერძოდ 05.12.2024 - 01.09.2025 პერიოდში.	*არ შესრულდა*
ინდიკატორი N 1.2.2.3	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;	მონიტორინგის საფუძველზე შეიმუშავოს და გაასაჯაროვოს სამოქმედო გეგმების განხორციელების შესახებ ანგარიში, სტანდარტების შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების შესაბამისად კერძოდ 05.12.2024 - 05.12.2025 პერიოდში.	*არ შესრულდა*
ინდიკატორი N 1.2.2.4	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.	სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის თანახმად, კერძოდ 05.12.2024 - 05.12.2025 პერიოდში, ჩაატაროს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი, რომლის	*არ შესრულდა*

		საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმების განხორციელების შესახებ ანგარიშს, რაც გამოყენებული იქნება სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.	
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*	
ინდიკატორი N 3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	სკოლამ უზრუნველყოს თანამშრომელთა ცნობების წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, რომ არ აქვთ ჩადენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და არ აქვთ ჩამორთმეული უფლება, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის 25 ოქტომბრიდან, 2025 წლის 30 ივნისამდე.	*შესრულდა*
ინდიკატორი N 3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;	უზრუნველყოს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიზნით, მათი შეფასება და განვითარებისთვის აუცილებელი აქტივობების დაგეგმვა სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 5 დეკემბრამდე.	*არ შესრულდა*
ინდიკატორი N 3.3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;	განახორციელოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის და სამოქმედო გეგმის შესაბმისად, რასაც გაანალიზების შემდგომ ასახავს ანგარიშებში, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 5 დეკემბრამდე.	*არ შესრულდა*

ინდიკატორი N 3.3.2.1	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;	შეიმუშავოს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების, მასზე რეაგირების მექანიზმები და გახორციელოს სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 5 დეკემბრამდე.	*შესრულდა*
ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობანაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება, უფლებამოსილი ორგანოს მიერ, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სპეციალისტის, ან შესაბამისი კადრის აყვანა, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის 30 აგვისტოდან, 2025 წლის 30 აგვისტომდე.	*ნაწილობრივ შესრულდა*
ინდიკატორი N 3.4.1.8	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	განახორციელოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასება, ასახოს დოკუმენტალურად და შეფასების შედეგები გამოიყენოს შემდგომი განვითარებისათვის, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 5 დეკემბრამდე	*არ შესრულდა*

ინდიკატორი N 3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	უზრუნველყოს ინკლუზიური გარემოს შექმნა, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 5 დეკემბრამდე	*შესრულდა*
ინდიკატორი N 3.6.1.1	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;	სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვის მიზნით, უზრუნველყოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მოწყობა,შესაბამისი რესურსით, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 5 დეკემბრამდე	*შესრულდა*
ინდიკატორი N 3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	უზრუნველყოს ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება, ინდიკატორის მოთხოვნების გათვალისწინებით სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით, განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის 25 ოქტომბრიდან, 2025 წლის 30 მარტამდე	*შესრულდა*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***	
ინდიკატორი N 4.1.2.3	სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი	მნიშვნელოვანია, სკოლამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ თარიღამდე - 2025 წლის 30 მარტამდე - უზრუნველყოს სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების,	*შესრულებულია*

	ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;	პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობა.	
ინდიკატორი N 4.2.1.6	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარე უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურება	მნიშვნელოვანია, სკოლამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ თარიღამდე - 2025 წლის 05 დეკემბრამდე - უზრუნველყოს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესება	*შესრულებულია*
ინდიკატორი N 4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	მნიშვნელოვანია, სკოლამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ თარიღამდე - 2025 წლის 05 დეკემბრამდე - უზრუნველყოს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების გათვალისწინება.	*შესრულებულია*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

შპს ხერხემი კერძო სკოლის მისიაა შექმნას საგანმანათლებლო სივრცე, სადაც მომავალი თაობის აღზრდა ეფუძნება ღირებულებებს, ცოდნასა და პასუხისმგებლობას. სკოლა მიზნად ისახავს ახალგაზრდების ჩამოყალიბებას მამულისშვილურ სულისკვეთებაზე დაფუძნებული ხედვით — სამშობლოს სიყვარულით, ერთგულებითა და მაღალი მოქალაქეობრივი ცნობიერებით.სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემას, რელიგიურ ტოლერანტობასა და ჰუმანისტური იდეალების გაზიარებას. აქ თითოეული მოსწავლე აღიქმება, როგორც პიროვნება, რომლის განვითარებაც მიმდინარეობს უსაფრთხო, მხარდამჭერ და ინკლუზიურ გარემოში.სკოლა ოჯახთან მჭიდრო თანამშრომლობით უზრუნველყოფს მოსწავლეთა უწყვეტ განათლებასა და პიროვნულ ზრდას. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია თავისუფალი აზროვნების განვითარებაზე, კრიტიკულ ანალიზსა და პასუხისმგებლობის გრძნობაზე, რაც თანამედროვე სამყაროში წარმატებული რეალიზაციის საფუძველია.სკოლის საქმიანობა სრულად ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობასა და ეროვნულ სასწავლო გეგმას, თუმცა ამავდროულად ცდილობს დანერგოს თანამედროვე ფსიქოპედაგოგიურ მიდგომებსა და დანერგოს სწავლების და განათლების თანამედროვე ტექნოლოგიები.აღნიშნული სინთეზი ქმნის პირობებს, სადაც მოსწავლე ყალიბდება როგორც განათლებული, განვითარებული და გლობალური ღირებულებების მატარებელი პიროვნება.

სკოლის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს უცხოური ენებისა და მათემატიკის გაღრმავებული სწავლება, ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტიანი ათვისება, რაც მოსწავლეებს მომავალში კონკურენტულ გარემოში თავისუფლად თვითდამკვიდრების შესაძლებლობას აძლევს.შპს ხერხემის სკოლა აერთიანებს სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის მქონე მოსწავლეებს — ქართველებს, აზერბაიჯანელებსა და სომხებს — და ქმნის გარემოს, სადაც მრავალფეროვნება აღიქმება, როგორც სიმდიდრე, ხოლო განათლება — როგორც წარმატებული მომავლის საფუძველი.

სკოლის ხედვის თანახმად - ყველა მოსწავლე განათლებას მიიღებს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან დაცულ გარემოში. მოსწავლეები შეიძენენ ცოდნას და განივითარებენ უნარებს, რომლებიც საჭიროა

წარმატებული მომავლისათვის, სკოლის მიზნების შესრულებაზე პასუხისმგებლობა გაზიარებულია ოჯახებს, სკოლის პერსონალს და საზოგადოებას შორის.

შპს ხერხემის ღირებულებებია:

- უსაფრთხოება
- განათლების მაღალი ხარისხი
- კონკურენტუნარიანი პატრიოტი მოქალაქის აღზრდა
- გლობალურ პროცესში ინტეგრაცია
- საზოგადოების მაღალი ჩართულობა

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

შპს ხერხემი კერძო სკოლის მისიაა აღზარდოს მოაზროვნე, შემოქმედი ადამიანი რომელიც შეძლებს ინფორმაციის მოპოვებას დამუშავებას და ანალიზს. სკოლის ხედვა ეფუძნება პრინციპს, რომ იგი იყოს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული, თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად, ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე. რომელიც მომავალში იქნება მოთხოვნადი კადრი შრომის ბაზარზე და წვლილს შეიტანს ქვეყნის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.ინტერვიუების მიხედვით, პედაგოგები და მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია კეთილგანწყობილი, თანამშრომლობითი ატმოსფერო. დირექტორთან კომუნიკაცია ღია და ხელმისაწვდომია, რაც ამყარებს უსაფრთხოების განცდას.მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინიციატივები ფასდება, რაც მოწმობს, რომ სკოლა აღიქმება არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ კულტურულ სივრცედაც. სასკოლო გარემო უზრუნველყოფს თანასწორობის, სამართლიანობისა და კეთილდღეობის პრინციპების რეალიზაციას, რაც სრულად შეესაბამება სკოლის ხედვის შინაარსს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის ფილოსოფიის შემუშავება წარმოადგენს კოლექტიურ და მრავალმხრივ პროცესს, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას. აღნიშნული პროცესი გულისხმობს სხვადასხვა დაინტერესებული

მხარის — საგნობრივი კათედრების, მოსწავლეების, მშობლებისა და ადმინისტრაციის — თანამონაწილეობას, რაც უზრუნველყოფს ფილოსოფიის მრავალფეროვნებას, რეალისტურობასა და ღირებულებით მდგრადობას.

ინტერვიუს შედგად გამოიკვეთა , რომ შპს ხერხემი კერძო სკოლის ფილოსოფია შემუშავებულია ძირითადად სკოლის ადმინისტრაციისა და კათედრების თანამონაწილეობით , სკოლამ ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება მშობელთა ან მოსწავლეთა ამ პროცესში ჩართულობისა .

შესაბამისად ,ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც შეუსაბამო.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლის მიერ გადმოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილია ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავება/რევიზისთვის სამუშაო ჯგუფის ბრძანება №02-09 20.04.2026 წელი. ჯგუფის შემადგენლობაში შესულია სასკოლო საზოგადოების ყველა სეგმენტის წარმომადგენელი. ასევე წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი (№1 21.04.2026), რომლის მიხედვითაც მოხდება <u>მომავალში</u> სკოლის ფილოსოფიის რევიზია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით (ვადებად განსაზღვრულია 17.04.2026-30.07.2026 პერიოდი). თუმცა, არსებული მდგომარეობით სკოლამ ვერ დაადასტურა <u>მოქმედი</u> მისია ხედვა ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, შესაბამისად ინდიკატორის შეფასება დარჩა - შეუსაბამო.

ხარვეზი: სკოლამ ვერ წარმოადგინა მისია , ხედვა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების გარკვეული სეგმენტის(მოსწავლეების და მშობლების) ჩართულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება წარმოადგენს მათი შემუშავების ნაწილს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მისი შემუშავების მექანიზმი მოიცავდეს გაზიარების გზების შესახებ ინფორმაციას. შპს ხერხემი კერძო სკოლის ფილოსოფიის პროექტი შეიმუშავებულ იქნა ძირითადად სკოლის ადმინისტრაციისა და საგნობრივი კათედრების თანამონაწილეობით, ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების სხვა სეგმეტის ჩართულობა სკოლამ ვერ დაადასტურა მტკიცებულებებით.აგრეთვე სკოლამ ვერ წარმოადგინა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლო ვერსიის გაზიარების მტკიცებულებები.

შესაბამისად ,ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც შეუსაბამო.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლის მიერ გადმოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილია ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავება/რევიზისთვის სამუშაო ჯგუფის ბრძანება №02-09 20.04.2026 წელი. რომლის მიხედვითაც მოხდება მომავალში სკოლის ფილოსოფიის რევიზია და საბოლოო სახით ჩამოყალიბება, რის შემდგომაც დამტკიცებული დოკუმენტი გაზიარდება სასკოლო საზოგადოების მიერ (ვადებად განსაზღვრულია 17.04.2026- 30.07.2026 პერიოდი). თუმცა, არსებული მდგომარეობით სკოლამ ვერ დაადასტურა მოქმედი მისია ხედვა ღირებულებების გაზიარების მტკიცებულება, შესაბამისად ინდიკატორის შეფასება დარჩა - შეუსაბამო.

ხარვეზი: სკოლამ ვერ დაადასტურა მტკიცებულებებით სკოლის ფილოსოფიის გაზიარების პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა სეგმენტის ჩართულობა.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული .

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის ფოიეში, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე სკოლის თანამშრომლები, მშობლები და მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან ამ რესურსების შესახებ, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და საზოგადოებისთვის ღიაობას. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია როგორც ფიზიკური, ისე ციფრული არხებით, რაც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრიდან, რითაც დასტურდება, რომ
სკოლის სახელი „შპს ხერხემი კერძო სკოლა“ შესაბამისობაშია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერმინთან. შესაბამისად **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ხერხემის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის ვებ-გვერდი
- ინტერვიუ მასწავლებლებთან/მოსწავლეებთან/ მშობლებთან
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სკოლის ფილოსოფია(მისია,ხედვა,ღირებულებების)და სტრატეგიული /სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (20.04.2026 ბრძანება №02-09)
- სამუშაო ჯგუფის ოქმი №1 21.04.2026

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

შპს ხერხემი კერძო სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია,რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული პროცესის ეტაპები: სკოლის ფილოსოფიის შემუშავება და გაზიარება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/დამტკიცება/გაზიარება; მონიტორინგი და შეფასება; ცვლილებების შეტანა. წარმოდგენილი დოკუმენტით იკვეთება, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ეფუძნება თანამშრომლობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინების პრინციპებს. პროცესი ხორციელდება სასკოლო საზოგადოების წევრების - სკოლის პერსონალი, მოსწავლეების, მოსწავლეების კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით,ხოლო,მათი

ინტერესების გათვალისწინება უზრუნველყოფილია სკოლაში განხორციელებული პერიოდული გამოკითხვების/ფოკუსჯგუფების ანალიზით.ამ პროცესებზე პასუხისმგებელია წარმომადგენლობითობის პრინციპით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

თუმცა ,სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცებისა და სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებები,ასევე სასკოლო საზოგადოების ყველა სეგმენტთან ინტერვიუს საშუალებითა და წარმოდგენილი დოკუმენტებით გამოიკვეთა რომ ,რეალური პროცესები ზედმიწევნით მეთოდოლოგიის შესაბამისად არ მიმდინარეობს , კერძოდ აღნიშნულ დოკუმენტში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების საშუალებად მრავალფეროვანი მეთოდებია მითითებული ,რეალურად კი სტრატეგიული დაგეგმარების შემუშავების პროცესში ძირითადად პედაგოგები მონაწილეობენ ,ხოლო მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესების გათვალისწინება ვერბალური გზით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება .

შესაბამისად ,ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც შეუსაბამო.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლის მიერ გადმოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილია ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავება/რევიზიისთვის სამუშაო ჯგუფის ბრძანება №02-09 20.04.2026 წელი. ასევე წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი (№1 21.04.2026). გეგმის თანახმად, მოხდება მომავალში სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება. (ვადებად განსაზღვრულია 17.04.2026- 30.07.2026 პერიოდი). თუმცა, არსებული მდგომარეობით სკოლამ ვერ დაადასტურა მოქმედი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება. შესაბამისად ინდიკატორის შეფასება დარჩა - შეუსაბამო.

ხარვეზი: სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია პრაქტიკაში არ ხორციელდება დოკუმენტში განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. სკოლამ ვერ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მტკიცებულებები.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა 2022–2029 წლებისთვის ასახავს გრძელვადიან ხედვას, რომელიც ეფუძნება სკოლის ფილოსოფიასა და ღირებულებებს. დოკუმენტი სტრუქტურირებულია შვიდწლიანი ციკლის პრინციპით და მოიცავს მისიის შესაბამის მიზნებს, ამოცანებსა და შედეგებს. სტრატეგიული მიზნები დაკავშირებულია როგორც საგანმანათლებლო ხარისხის გაუმჯობესებასთან, ისე სასკოლო კულტურის განვითარებასთან, პედაგოგთა პროფესიული ზრდისა და მოსწავლეთა კეთილდღეობის ხელშეწყობასთან. დოკუმენტი მოიცავს შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომას და განსაზღვრავს მონიტორინგის პერიოდულობას. ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ სტრატეგიული გეგმა აღიქმება არა როგორც ფორმალური დოკუმენტი, არამედ როგორც მართვის რეალური ინსტრუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის განვითარებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლა წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ,რომელიც ეფუძნება სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას, გამომდინარეობს სკოლის ყოველწლიური თვითშეფასებიდან , განხილულია პედაგოგიურ საბჭოს N1 სხდომაზე (04.09.2025) და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ N 2-34 ბრძანებით 05.09.2025 . შესაბამისად ,
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ვიზიტის დროისათვის წარმოადგენილ 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში , აქტივობები გაწერილია არსებული შვიდწლიანი სტარატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია კონკრეტული მიზნები და ამოცანები მითითებულია თითოეული აქტივობის განმახორციელებელი პასუხისმგებელი პირი/პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესრულების ინდიკატორები და რეალისტური ვადები ,თუმცა რესურსების ზოგიერთ გრაფაში მითითებულია ზოგადი დასახელებები ,, არსებული ადამიანური რესურსი, ,,არსებული ფინანსური რესურსი'' და ,,არსებული მატერიალური რესურსი'' .

რჩევა : სასურველია ,ზოგადი შინაარსის ფრაზა ,, არსებული ადამიანური რესურსი, ,,არსებული ფინანსური რესურსი'' და ,,არსებული მატერიალური რესურსი'' უფრო დეტალურად იყოს დაკონკრეტებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების,მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია.
- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა 2022-2029წწ
- 2025-2026 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ;

- ინტერვიუები სასაკოლო საზოგადოების ყველა სეგმენტთან ;
- პედსაბჭოს ოქმი № 1(04.09.2025)
- დირექტორის ბრძანება N 2-34 , 05.09.2025

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, დოკუმენტის თანახმად ამ პროცესებზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგი
განისაზღვრება, როგორც მონაცემების შეგროვება გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებით, ხოლო შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება შექმნილი ჯგუფის მიერ წელიწადში ორჯერ -6 თვის შემდეგ და სასწავლო წლის ბოლოს, ხოლო სტრატეგიული გეგმის -მისი მოქმედების პერიოდში ორჯერ (შუაში და ბოლოს) ,საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტში შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილების შეტანა და არაგეგმიური მონიტორინგიც.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება სკოლაში ხორციელდება ზეპირი განხილვების საფუძველზე. აღნიშნული პროცესი არ არის დოკუმენტურად გაფორმებული .ამდენად, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი არ ხორციელდება მეთოდოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, სკოლაში არ არის შექმნილი შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნული პროცესის სისტემურ დაგეგმვასა და განხორციელებას. ასევე, ვერ იქნა წარმოდგენილი მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია/ანგარიში, რაც მიუთითებს, რომ პროცესს არ აქვს რეგულარული და სტრუქტურირებული ხასიათი.

ამასთან, არ დასტურდება სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის სისტემური შეგროვება და მისი გამოყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღნიშნული გარემოება ზღუდავს სკოლის შესაძლებლობას, ობიექტურად შეაფასოს დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობა და დროულად განახორციელოს საჭირო გაუმჯობესებები.

შესაბამისად ,ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც შეუსაბამო.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლის მიერ წარმოდგენილია სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (№02-10; 20.04.2026წ.). სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესის სისტემურ დაგეგმვასა და განხორციელებას: კერძოდ, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, SWOTანალიზის შემუშავებას სასწავლო წლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში. ასევე, სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულ პერიოდში ,ამ პერიოდის დადგომიდან 1 თვის ვადაში. ამ პროცესების განხორციელებაში გათვალისწინებული იქნება კითხვარების საშუალებით მიღებული სასკოლო საზოგადოების ყველა სეგმენტის უკუკავშირის ანალიზის შედეგები. (სამუშაო ჯგუფის №1 ოქმი 21.04.2026წ.). პროცესის დასრულების ვადად შესაბამისობის გეგმაში სკოლამ განსაზღვრა ვადები(17.04.2026- 01.09.2026 წ.) თუმცა, არსებული მდგომარეობით სკოლამ ვერ დაადასტურა <u>მოქმედი</u> სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. შესაბამისად ინდიკატორის შეფასება დარჩა - შეუსაბამო

ხარვეზი: დაწესებულებას არ ჰყავს მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფი ,რომელიც უზრუნველყოფდა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ,ასევე, დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია/ანგარიში.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლაში არ განხორციელებულა მონიტორინგისა და შეფასების პროცესის სისტემური მართვა და სკოლამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, ბუნებრივია იგი ვერ უზრუნველყოფს მიღებული შედეგების მიზანმიმართულ გასაჯაროებას.
შესაბამისად ,ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც შეუსაბამო.
არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლის მიერ წარმოდგენილია სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (№02-10; 20.04.2026წ.). სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას. თუმცა, არსებული მდგომარეობით სკოლამ ვერ წარადგინა მოქმედი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები , შესაბამისად ინდიკატორის შეფასება დარჩა - შეუსაბამო.

ხარვეზი: სკოლამ ვერ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების ანგარიშები .

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლაში შესრულებული აქტივობების შედეგების ანალიზი მხოლოდ ზეპირი განხილვების საფუძველზე ხორციელდება; აღნიშნული პროცესი არ არის დოკუმენტურად გაფორმებული და სკოლამ ვერ წარმოადგინა წერილობითი მტკიცებულებები. შესაბამისად, მიღებული შედეგების გამოყენება მომდევნო ეტაპების დაგეგმვის პროცესშიც ხორციელდება შეჯერებული ზეპირი მოსაზრებების საფუძველზე.ვინაიდან არ არის უზრუნველყოფილი მონიტორინგისა და შეფასების სისტემური პროცესი , სკოლას ეზღუდება შესაძლებლობა, დაეყრდნოს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მონაცემებს განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისას.

შესაბამისად ,ინდიკატორის მოთხოვნები, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც შეუსაბამო.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლის მიერ წარმოდგენილია სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (№02-10; 20.04.2026წ.). სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებს. თუმცა, არსებული მდგომარეობით სკოლამ ვერ წარადგინა მოქმედი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები , შესაბამისად ვერ დგინდება მათი გამოყენების ფაქტები სკოლის შემდგომი განვითარებისათვის . ინდიკატორის შეფასება დარჩა - შეუსაბამო.

ხარვეზი: სკოლამ ვერ წარმოადგინა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები , რაც გამოიყენება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების კორექტირების ან გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების,მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია.

- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა 2022-2029წწ
- 2025-2026 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ;
- ინტერვიუები სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან
- ვებ-გვერდი
- სკოლის სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (20.04.2026 ბრძანება №02-10)
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი ,,შპს ხერხემის სკოლის დებულება“ (2025 წლის 05 სექტემბრის N 02.34 ბრძანებით), რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ , დოკუმენტში აღწერილია ორგანიზაციის სტრუქტურა , სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა და უფლება-მოვალეობები და შესაბამისობაშია საქართველოს კანონით

ზოგადი განათლების შესახებ განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურასთან. ასევე, სკოლამ წარმოადგინა საშტატო განრიგი და ორგანიგრამა, შინაგანაწესი და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტები შესწავლილ იქნა ექსპერტების მიერ.

დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია სკოლაში დასაქმებული პირების სამუშაო აღწერილობები(ფუნქციები და ვალდებულებები) ასახულია სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებებშიც (მუხლი 3, ქვემუხლი 3.3.) და შესაბამება ერთმანეთს. სკოლის მიერ წარმოდეგნილი დოკუმენტების შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტუტული ერთეულების/პირების ფუნქციები განსაზღვრულია. შესაბამისად,

ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის დებულებაში მკაფიოდ არის გაწერილი თანამდებობრივი ფუნქციების , რომელებიც განსაზღვრავენ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებსა და ვალდებულებებს . ასევე ორგანიგრამაში ასახულია ერთმანეთთან ანგარიშვალდებული რგოლები. ინტერვიუს დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და კონკრეტულ პირებს შორის პასუხისმგებლობები მართებულადაა გადანაწილებული და მათ აქვთ ჯანსაღი თანამშრომლობითი ურთიერთობა, არ ხდება ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების აღრევა. შესაბამისად,

ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ხერხემის დებულება ;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სტრუქტურის ორგანოგრამა
- დირექტორის ბრძანება დებულების დამტკიცების შესახებ (2025 წლის 05 სექტემბრის N 02.34 ბრძანება)
- საშტატო განრიგი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა'', დოკუმენტში მკაფიოდაა გაწერილი ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანები: სკოლის ადამიანური რესურსების მართვა; სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად დასაქმებულთა მუდმივი განვითარება, კვალიფიციური და შესაბამისი კადრების მომზადება/ შენარჩუნება. მაღალკვალიფიციუროი კადრების მოზიდვა/ შერჩევის პროცესის ორგანიზმება და მართვა, სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლის ადაპტაცია; წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და სხვა.
დოკუმენტი ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის, 21 ნოემბრის № 1014 ბრძანების, ასევე „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის ,23მაისის, N241 დადგენილებისა და სხვა სამართლებრივი აქტებს,
ვიზიტის ფარგლებში პერსონალთან ინტერვიუს შედეგებიდან , ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (ბრძანებები, ოქმები)გამომდინარე დადგინდა, რომ პროცესები მიმდინარეობს სკოლის მიერ დადგენილი პროცედურების მიხედვით. შესაბამისად,
ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესსა (2025 წლის 05 სექტემბრის N 02.34 ბრძანება) და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არეგულირებს ვაკანსიის ან/და ახალი პოზიციის საჭიროების გაჩენის შემთხვევაში სკოლის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს. წინამდებარე წესის შესაბამისად, მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე ცხადდება კონკურსი www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge-ზე. სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით თანამშრომლის სამუშაოზე მიღება შესაძლებელია კონკურსის საფუძველზეც. ასევე, ადამიანური

რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტსა და შინაგანაწესის (23-ე მუხლი) შესაბამისად, სკოლაში ძირითადი მასწავლებლისათვის დროებით შრომითი ურთიერთობის შეჩერების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისთვის, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია დროებით არმყოფი პირის ჩანაცვლების მიზნით, ვაკანტური ადგილი (საგნის ვაკანტური საათები) შეავსოს კონკურსის გამოცხადების გარეშე . გადაუდებელი საჭიროების გამო გაცდენის შემთხვევაში, დროებით არმყოფი მასწავლებლის ნაცვლად მიღებულ მასწავლებელთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება დროებით არმყოფი პირის ჩანაცვლების მიზნით, ძირითადი მასწავლებლის სამსახურში გამოცხადებამდე. გარდა ამისა, დოკუმენტში ასევე დეტალურადაა გაწერილი, თუ ვინ ასრულებს მოვალეობებს სკოლაში კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმებული პირის არყოფნის შემთხვევაში. აღნიშნული პროცესები წარმოადგენს რესურსების მართვის ინტერვენციულ და პრევენციულ პოლიტიკას.
შესწავლილი მასალებიდან (შინაგანაწესი,სამართლებრივი აქტები, ხელშეკრულებები, თანამშრომელთა პირადი საქმეები) გამომდინარე, დადასტურდა, რომ სკოლა ადამიანური რესურსების მართვისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად, თანამშრომელთა მიღების, გათავისუფლებისა და წახალისების სისტემა გამჭვირვალეა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლას პერსონალის შერჩევის პროცედულები გაწერილი აქვს შინადანაწესსა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, ვაკანსიებს აცხადებს დასაქმების პორტალ www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge-ზე. სკოლის ადამიაური რესურსების მართვის პოლიტიკით გათვალისწინებულია კონკურსის ეტაპები, საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება. teacherjobs.ge-ს გვერდზე სკოლის მიერ გამოცხადებული ვაკანსიების შესწავლით დადგინდა, რომ ვაკანსიის გამოცხადებისას სკოლას აქვს განსაზღვრული საკონკურსო პირობები, სკოლის დოკუმენტში მითითებული საკონკურსო პირობებისა და კანონმდებლობის საფუძველზე, რომელსაც ადგენს სკოლის დირექტორი.
სკოლამ წარმოადგინა საკონკურსო კომისიის ოქმები და შესაბამისი ბრძანებები, რომლითაც განხორციელდა სკოლაში მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომელთა (ადმინისტრაციის) შერჩევა.
ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა თანამშრომლების პირადი საქმეები. შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ყველა თანამშრომლის პირად საქმეში სრულყოფილად არ იყო განთავსებული კანონმდებლობით განსაზღვრული

დოკუმენტაცია: ცნობები: ნასამართლობის , სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის , უფლების ჩამორთმევის შესახებ, დიპლომი. ხელშეკრულებები. **კერძოდ, 8 თანამშრომელის პირად საქმეში აკლდა ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, ხოლო IT მენეჯერს არ ჰქონდა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც სკოლამ ვიზიტის დასრულებამდე მიაწოდა ექსპერტებს.**

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც არ შეესაბამება, ვინაიდან სკოლის 8 თანამშრომელს პირად საქმეში არ ჰქონდა ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან და შესაბამისობის გეგმასთან ერთად დანართების სახით წარმოადგინა რვავე თანამშრომლის ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინა, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაზე ადრე შეძლო მოთხოვილი დოკუმენტების მოპოვება, შესაბამისად, აღმოიფხვრა ხარვეზი და ინდიკატორი N 3.1.2.3 ექსპერტების მიერ შეფასებული იქნა როგორც შეესაბამება.

შესაბამისად,
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტები სახელწოდებით ,, შპს ხერხემის კერძო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები“ და ,,შპს ხერხემის დებულება“ რომელებშიც გაწერილია თითოეულ პოზიციაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნები და თანამდებობრივი ფუნქციები. **დოკუმენტის თავდაპირველ ვარიანტში ექსპერტების მიერ დადგენილი იქნა დოკუმენტის სათაურთან შინაარსობრივი აცდენა, ამ მიგნებების შესახებ ვიზიტისას ინფორმაცია მიეწოდა სკოლის დირექტორს და რეკომენდაცია მიეცა დოკუმენტში ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე, რათა სახელწოდება და შინაარსი რელევანტური ყოფილიყო . სკოლამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული რეკომენდაცია და ვიზიტის დასრულებამდე წარმოადგინა ჩასწორებული**

დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრა საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეულ ადმინისტრაციულ პოზიციასთან მიმართებით.

სკოლის თანამშრომელთა ბაზის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია 29 თანამშრომელი, მათგან 21 დასაქმებულია მასწავლებლის პოზიციაზე, ხოლო დანარჩენი პირები ადმინისტრაციულ პოზიციებზე. ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მასწავლებელთა ელექტრონული ბაზის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია მხოლოდ 7 უფროსი სტატუსის მქონე პირი, ხოლო 14 უსტატუსო მასწავლებელი . აქედან 2 პედაგოგს ჩაბარებული ჰქონდა საგნის სასერტიფიკაციო გამოცდა და გადიოდა მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიან პროგრამას,

საათობრივი ბადისა და პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ არასეტიფიცირებულ პედაგოგებთან სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა როგორც მოწვეული მასწავლებლთან, საათობრივი დატვირთვა კი აღემატებოდა კანონმდებლობით (კანონი ზოგადი განათლების შესახებ ღ9) დადგენილ რაოდენობას. (9 საათის ნაცვლად 10 -დან 23 საათამდე).

ასევე , IT მენეჯერის პირედ საქმეში არ იდო განათლების დამადასტურებელი დიპლომი. სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე მოგვაწოდა აღნიშნული დოკუმენტი.

აღსანიშნავია, რომ ადამიანური რესურსის სიმცირის გამო, ერთ თანამშრომელს შეთავსებული ჰქონდა რამდენიმე პოზიცია . კეპოდ, საქმეთამმართველს შესასებული ჰქონდა სამოქალაქო განათლების საათები, დირექტორის მოადგილეს , რომელიც ასწავლის ქიმიას, დატვირთვა ჰქონდა 10 საათი და შთავსებული ჰქონდა ბიბლიოთაკარის პოზიცია. დაწყებითი კლასების მასწავლებლებს შეთავსებული ჰქონდათ სპორტისა და მე და საზოგადოების საათები.

სკოლის დირექტორმა ინტერვიუირებისას აღნიშნა, რომ რეგიონში ძალიან ჭირდა კვალიფიციური კადრის მოზიდვა, ვაკანტურ პოზიციებზე არაერთხელ იქნა გამოცხადებული კონკურსი, თუმცა ვერ მოხერხდა კადრის შევსება. ამიტომ , იმისათვის, რომ სკოლამ შეძლოს ფუნქციონირება, იძულებულნი არიან სრული განაკვეთით დაასაქმონ არასერტიფიცირებული მასწავლებლები.

სკოლას ჰყავს ექთანი. ექიმის პოზიციაზე გამოცხადებული აქვს კონკურსი.
დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება** .
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან და შესაბამისობის გეგმასთან ერთად დანართების სახით წარმოადგინა
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციისთან ერთად დანართების სახით წარმოადგინა ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ ვაკანტური საათების შესავსების მიზნით , ასევე მტკიცებულებად დაურთო JOBS.ge -s პლატფორმის ფოტო .

ექსპერტები ითვალისწინებენ , რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები, ხარვეზის აღმოსაფხვრელად გადადგა ქმედითი ნაბიჯები. თუმცა ექსპერტები არ დაეთანხმნენ სკოლის პოზიციას, რომ ინდიკატორი შეფასებულიყო როგორც **მეტწილ შესაბამისი,** რადგან ზემოაღწერილი ხარვეზი არის უკვე დამდგარი ფაქტი , რაც მიუთითებს **სკოლის მხრიდან დარღვეული იყო კანონი ზოგადი განათლების შესახებ ღ9 პუნქტი** და **ინდიკატორი N 3.1.2.4** შეფასდა , როგორც **არ შეესაბამება.**

ხარვეზი: სკოლაში დასაქმებულია არასერტიფიცირებული პედაგოგები, რომელთა კვალიფიკაცია და საათობრივი დატვირთვა არ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულს.

შესაბამისად,

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მართვის ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობისა და გუნდურობის პრინციპს ეყრდნობა, სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათერდები. კათედრებს გააჩნიათ წლის დასაწყისში ერთობლივად შემუშავებული და დამტკიცებული სამოქმედო გეგმები. სკოლამ წარმოადგინა კათედრების დებულებები და ოქმები, ურთიერთდასწრებისა და ურთიერთშეფასების ფორმები, რომლებიც შესწავლილ იქნა ექსპერტების მიერ. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული - პედაგოგიური საბჭო. სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

პედაგოგებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში არის ჯანსაღი თანამშრომლობითი კულტურა. კათედრები ერთობლივად გეგმავენ პროექტებს, ასევე უზიარებენ გამოცდილებასა და ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა სასწავლო რესურსის შექმნასა თუ მოძიებაში. პედაგოგები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე და აძელვენ უკუკავშირს.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის თანამშრომლობითი და გუნდურად მუშაობის კულტურა ექსპერტებთან თანამშრომლობის პროცესზე დაკვირვებისასაც გამოიკვეთა.

შესაბამისად,

ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების მექანიზმები კერძოდ, დღესასწაულებთან დაკავშირებით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის და სხვა საფუძვლით წახალისება. და **შინაგანაწესის IV თავის, მე-12 და მე-13 მუხლებში** გაწერილი აქვს წახალისების ფორმები (თავი), როგორიცაა მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოება და სხვა. სკოლის დირექტორმა ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ სკოლას არ აქვს თანამშრომელთა ბრძანებით, სიგელით, წახალისების პრაქტიკა(ვერ წარმოადგინა შესაბამისი მატერიალური მტკიცებულებები) და ძირითადად იყენებს სიტყვიერი წახალისებას, ეს დადასტურდა ინტერვუუებითაც. შესაბამისად,
ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ხერხემის დებულება;
- პედსაბჭოს დებულება;
- კათედრების დებულება;
- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ;
- პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები
- პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებები

- სკოლის შინაგანაწესი;
- კათედრის ოქმები;
- უკუკავშირის ფორმა .
- თანამშრომელთა ხელშეკრულებები;
- პირადი საქმეები
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

- თანამშრომელთა ბაზა;

სკოლას არ აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

- სკოლა არ ახორციელებს პერსონალის განვითარებას გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე და არ აქვს შემუშავებული შესაბამისი გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (თავი 7) განსაზღვრავს სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმებს და ეტაპებს. დოკუმენტის თანახმად, სკოლა ახდენს პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებას, შემდგომ, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, სხვადასხვა

ღონისძიების/აქტივობების შერჩევა/დაგეგმვას. ასევე, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის რეგულარულ შეფასებას. ასევე სკოლის სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები პრიორიტეტებში ითვალისწინებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და შესაბამის აქტივობებს.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სკოლა პერსონალის პროფესიული განვითარების და მხარდაჭერის მიზნით, სკოლაში უნდა ფუნქციონირებდეს, ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. რომელსაც სკოლის პერსონალის საჭიროებისამებრ შემუშავებული ექნება პროფესიული განვითარების და მხარდაჭერის გეგმა. აღნიშნული მხოლოდ სიტყვიერად დადასტურდა, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა ბრძანება ხარისხის ჯგუფის შექმნის შესახებ , ასევე ხარისხის ჯგუფის სამუშაო გეგმა და ოქმები.

მასწავლებელთა პირადი სააქმის შესწავლისას დათვალიერებული იქნა როგორც საგნობრივი, ასევე პროფესიული განვითარების მიმართულებით ტრენინგ -კურსის გავლის დასტურად გაცემული სერტიფიკატები. მათი მნიშვნელოვნი ნაწილი ბოლო 4-6 წელიწადშია გაცემული .

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც არ შეესაბამება, ვინაიდან სკოლა არ ჰქონდა შემუშავებული პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან და შესაბამისობის გეგმასთან ერთად დანართების სახით წარმოადგინა მტკიცებულებები:

- ბრძანება # 02.11 , 20.04.26 წ. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მე-20 მუხლში დეტალურად არის გაწერილი პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები;
- ბრძანება # 02.12 , 20.04.26 წ. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში მე-5 და მე-6 მუხლში გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის ;
- პერსონალის განვითარების მექანიზმები(5.1 პუნქტი) და პერსონალის პროფესიული განვითარების ინიციატივის წარდგენის ფორმა .
- ბრძანება # 02.10 , 20.04.26 წ. შეფასებისა და მონიტორინგის ჯუფის შექმნის შესახებ

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინა, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაზე ადრე შეძლო მოთხოვილი დოკუმენტების მოპოვება, შესაბამისად, აღმოიფხვრა ხარვეზი და **ინდიკატორი N 3.2.1.1** ექსპერტების მიერ შეფასებული იქნა როგორც **შეესაბამება.**

შესაბამისად,

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლაში პროფესიული საჭიროებების დადგენა და შემდგომი რეაგირების მექანიზმები გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, გარდა ამისა, სკოლას შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად და სტრატეგიულ მიზნად გამოტანილი აქვს - ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება. აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის კი, სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, მოაზრებული აქვს სხვადასხვა აქტივობები. კერძოდ, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დაგეგმვა, ტრენინგების შეთავაზება, ინფორმაციის მოძიება და გავრცელება, საგანმანათლებლო ღონისძიებებში მასწავლებელთა ჩართულობის ხელშეწყობა, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და სხვა.
წინამდებარე აქტივობების შესრულების ვადები კი განსაზღვრულია ძირითადად სექტემბრის/ოქტომბრის თვიდან.
დირექტორთან და დირექტორის მოადგილესთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში, კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად პედაგოგებს ესწრებიან გაკვეთილებზე და უკუკავშირს აძლევენ სიტყვიერად. დადგენილ საჭიროებებთან მიმართებაში კი ურჩევენ ტრენინგების გავლას, ან აძლევენ რჩევებს. სკოლას შემუშავებული აქვს გაკვეთილზე დასწრებისა და უკუკავშირის ფორმა , რომელიც ექსპერტებს წარმოუდგინეს .

სკოლამ ვერ წარმოადგინა 2023-2024 წლისა და 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის შედეგების ანგარიშები, რაც ,ექსპერტების აზრით, ეჭვქვეშ აყენებს იმას, რომ სკოლაში ნამდვილად მიმდინერეობდა სწავლების ხარისხის მონიტორინგი.

შეფასების მექანიზმები მათ მიერ წარმოდგენილ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტშია (მუხლი 4 სკოლის საქმიანობის უწყვეტი შეფასება და მისი განვითარება) გაწერილი და მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის წესს , შეფასებას , SWOT ანალიზსა და წლიური სამოქმედო გეგმის შედგენას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის სახელწოდებით ,, შპს ხერხემის კერძო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ შესწავლისას ექსპერტების მიერ დოკუმენტის მე-4 გვერდზე, (მუხლი 2. სკოლის შიდა შეფასება / 2. 1. ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევა და შეფასება) პირველ აბზაცსში ამოიკითხულ იქნა სხვა სკოლის, კერძოდ, სკოლა-ლიცეუმ ლამპარის სახელწოდება.

,, დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა ხდება მარეგულირებელი დოკუმენტით - ,,ადამიანური რესურსების პოლიტიკის“ შესაბამისად, რომელიც არეგულირებს <u>სკოლა ლიცეუმი ლამპარის მასწავლებლების,</u> ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებულ მიდგომებს, პერსონალის დაგეგმვის, მოზიდვის, შერჩევისა და შრომითი ურთიერთოებების დაწყების პროცედურულ საკითხებს.“

ზემოაღნიშნული მოწმობს, რომ სკოლამ აღნიშნული დოკუმენტის ნაცვლად ნიმუშად გამოყენებისა და მორგებული შპს ხერხემის სკოლის საჭიროებებსა და კულტურაზე მორგებისა, კორექტირების გარეშე დაამტკიცა და წარმოადგინა ექსპერტებთან.სკოლამ ვერ წარმოადგინა 2023-2024 წლისა და 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის შედეგების ანგარიშები.

სკოლას დამტკიცებული ჰქონდა სხვა სკოლის დოკუმენტი სახელწოდებით ,, შპს ხერხემის კერძო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“.

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება.**

სკოლამ ექსპერტთა ვიზიტისას ვერ წარმოადგინა 2023-2024 წლისა და 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის შედეგების ანგარიშები, ასევე შიდა პროცესების შეფასების ვერცერთი მტკიცებულება , რის საფუძველზეც დგინდება პერსონალის განვითარების საჭიროებები, გარდა გაკვეთილზე დასწრებისა და შეფასების შევსებული ფორმებისა. რაც ,ექსპერტების აზრით, ეჭვქვეშ აყენებს იმას, რომ სკოლაში ნამდვილად მიმდინერეობდა ხარისხის მონიტორინგი და წაჭიროებების კვლევა . (იხ. ინდიკატორის აღწერა)

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთენ ერთად დანართების სახით წარმოადგინა:

- ბრძანება # 02.11 , 20.04.26 წ. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მე-20 მუხლში დეტალურად არის გაწერილი პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები;
- პერსონალის განვითარების მექანიზმები(5.1 პუნქტი) და პერსონალის პროფესიული განვითარების ინიციატივის წარდგენის ფორმა .
- ბრძანება # 02.10 , 20.04.26 წ. შეფასებისა და მონიტორინგის ჯუფის შექმნის შესახებ

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინა, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაზე(17.04.2026-17.04.2027)ადრე შეძლო ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის წარმოდგენა.

რაც მოწმობს , რომ სკოლას აქვს მზაობა შემუშავებული მექანიზმების გამოყენებისა და შესაბამისი აქტივიობების განხორციელებისა. თუმცა , გამომდინარე იქიდან, რომ **წინა მონიტორინგის დასკვნაში ამავე ინდიკატორთან მიმართებაში , შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში , 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 5 დეკემბრამდე, უნდა უზურნველეყო ხარვეზის აღმოფხვრა**

შესაბამისად, ხარვეზი ნაწილობრივ აღმოიფხვრა თუმცა ზემოაღჭერილი ზარვეზი არის უკვე დამდგარი ფაქტი, სკოლა წინააღმდეგობაში მოდის თავისივე სამართლებრივი აქტების მოთხოვნებისა და შესაბამისობის გეგმაში გაწერილ პირობებთან , ამიტომ, **ინდიკატორი N 3.2.1.2** ექსპერტების მიერ შეფასებული იქნა როგორც **არ შეესაბამება.**

ხარვეზი: სკოლას არ აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სკოლა არ ახორციელებს პერსონალის განვითარებას გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე და არ აქვს შემუშავებული შესაბამისი გეგმა

შესაბამისად,

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით ითვალისწინებს პერსონალის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილებას, ორგანიზაციული სტრუქტურით გათვალისწინებულ პოზიციებზე; იმისათვის, რომ სკოლაში ფუნქციები მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი დებულებაც. გარდა ამისა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის კარიერული ზრდის ხელშეწყობის მექანიზმები, კერძოდ, ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და სხვა.

როგორც პედაგოგებთან გასაუბრებისას აღნიშნა მათ სკოლისგან აქვს მხარდაჭერა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის მხრივ. სკოლა მათ ინფორმაციას აწვდის სხვადასხვა ტრენინგების შესახებ. ასევე კოლეგები ძალიან ეხმარებიან გამოცდლების გაზიარებითა და გაკვეთილების ერთობლივად დაგეგმვით.

შესაბამისად,

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლას შემუშავებული და დამკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმნეტი , რომელშიც გაწერილია თანამშრომელთა ადაპტაციის მექანიზმები.

თანამშრომლებთან საუბრისას გამოიკვეთა , რომ სკოლა უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის წარმატებულ ადაპტაციას. ადაპტაციის მექანიზმებისა და უშუალოდ პროცესის შესახებ გვესაუბრა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. მან აღნიშნა , რომ პერსონალთა გუნდი მცირერიცხოვანია , შესაბამისად , ადვილია გარემოსთან შეგუება.
სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში არ იკითხებოდა თანამშრომელთა ინტერირებისა და ადაპტაციის მექანიზმები. სკოლის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი რაიმე სხვა სახის დოკუმენტი, რომელითაც იგი ხელმძღვანელობს **სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაციისა ან/და ადაპტაციასის უზრუნველსაყოფად.**
დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება.**

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დანართების სახით წარმოადგინა:

- ბრძანება # 02.11 , 20.04.26 წ. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მე-10 მუხლის, 10.1 პუნქტში იკითხება სკოლის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად განსაზღვრულია თანამშრომლების მოზიდვა და ადაპტაციის ხელშეწყობა
- ბრძანება # 02.13 , 20.04.26 წ.ახალი თანამშრომლის მოწყობისა და ადაპტაციის მექანიზმების შესახებ.
- დოკუმენტი სახელწოდებით ,, შპს ხერხემის კერძო სკოლის ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მოწყობისა და ადაპტაციის პროცედურა“

ზემოაღწერილი მოწმობს , რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები, ექსპერტების მიერ გაზიარებულ იქნა სკოლის პოზოცია , შესაბამისად **ინდიკატორი N 3.2.1.4** შეფასდა **როგორც შესაბამისი .**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

როგორც სკოლის ადმინისტარციის ინტერვიუდან დაადასტურა, ისინი მუდმივად გამოთქვამენ მზაობას წაახალისონ პეროსნალის სურვილის შემთხვევაში, მათ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.
თანამშრომლებთან გასაუბრებისას დადასტურდა , რომ მათ ყოველთვის აქვთ საშუალება , პირადად შეხვდნენ დირქტორს და დააფიქსირონ ინიციატივა.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ბრძანება #02 11/ 20.04,26წ. ;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი; ბრძანება #02. 12/ 20.04,26წ.
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა
3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას აქვს დოკუმენტი ,, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ , რომლიც შექმნილია სკოლის შიდა საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფის მიერ განათლების ხარისხის შიდა მართვისთვის, კერძოდ კი სწავლა- სწავლებისა და მართვის პროცესების შეფასების, გაუმჯობესების და დაწესებულების მდგრადი განვითარების მიზნით.

დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის მართვის შიდა და გარე მექანიზმების არსებობას. შიდა ხარისხის მართვა ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. აღწერს ადამიანური რესურსების შეფასების და მათი გაუმჯობესების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებისა და მათი გაუმჯობესების, ასევე სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების და მართვის მიზნით დადგენილ ღონისძიებებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის შესწავლისას დადგინდა, რომ სკოლამ წარმოადგინა სხვა სკოლის დოკუმენტი. დოკუმენტის მე-4 გვერდზე , პირველ აბზაცში იკითხება ,,სკოლა ლიცეუმ ლოგოსის პედაგოგები...“

გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი ხარისხის შეფასებისა და უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტები არ იყო სრულყოფილი, წარმოდგენილ იქნა მხოლოდ გაკვეთილზე დასწრების ფორმა. სკოლამ ვერ წარმოადგინა ხარისხის ჯგუფის მიერ სხვა მიმდინარე პროცესების შეფასების ვერცერთი მტკიცებულება, ასევე კათედრების მიერ გაკვეთილებზე დასწრების გეგმა, გაცემული უკუკავშირის შევსებული ფორმები, კითხვარები, მონიტორინგის ჯგუფის 2023-2024 წ. ანგარიში,რომელიც უნდა მოიცავდეს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში გაწერილი ყველა მიმართულების შეფასებას და რომელის ანალიზსაც უნდა ეფუძნებოდეს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა.

ამასთან დაკავშირებით, სკოლას განემარტა , რომ მათ მიერვე წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში მე-7 გვერდზე , მუხლი 4. -ის (სკოლის საქმიანობის უწყვეტი შეფასება და მისი განვითარება) შესაბამისად მიმდინარე პროცესების შეფასება სისტემატურად უნდა მიმდინარეობდეს , შეფასების ანალიზის საფუძველზე ხარისხის ჯგუფი უნდა წარმოადგენდეს ანგარიშს . შესაბამისად , წინა სასწავლო წლის მონიტორინგის შედეგები უნდა ასახულიყო ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის ანგარიშში და გათვალისიწნებული ყოფილიყო მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შედგენიასას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან დადგინდა, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა არ ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და არ ეფუძნება პროცესულ მიდგომებსა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. სკოლას გააზრებული არ აქვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგის მნიშვნელობა ხარვეზების იდენტიფიცირების, მათი დროულად აღმოფხვრისა და სტრატეგიული განვითარებისათვის.

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც არ შეესაბამება,

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან და შესაბამისობის გეგმასთან ერთად დანართების სახით წარმოადგინა :

- ბრძანება # 02.12 , 20.04.26 წ. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში ცვლილების შეტანისა და დამტკიცების შესახებ.
- ბრძანება # 02.10 , 20.04.26 წ. ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის ჯუფის შექმნის შესახებ

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლამ ექსპერტთა ვიზიტისას ფაქტობრივად ვერ წარმოადგინა ხარისხის შესასების ვერცერთი მტკიცებულება, ახლა სრულყო ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, ასევე ახლა შექმნა ხარისხის შეფასების და მონიტორინგის ჯგუფი და შესაბამისად, ვიზიტის პერიოდში ვერ განახორციელებდა შეფასებას , ამასთან, შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (17.04.26-17,04.27) გეგმავს ხარისხის შეფასებას , რაც თავის მხრივ ეწინააღმდეგება სამოქმედო გეგმაში გაწერილ ვადებს, .ექსპერტები არ ეთანხმებიან სკოლის პოზიციას და აღნიშნული **ინდიკატორი N 3.3.1.1** შეფასებული **რჩება როგორც შეუსაბამო.**

ხარვეზი: სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა არ ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და არ ეფუძნება პროცესულ მიდგომებსა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.
სკოლამ ვერ წარმოადგინა ხარისხის მონიტორინგისა და მისი ანალიზის ვერცერთი მტკიცებულება.

შესაბამისად,

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. კერძოდ, მმართველობით პროცესად განსაზღვრულია მისიის და ღირებულებების მიხედვით სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი. ძირითად პროცესად მოიაზრება სასკოლო კურიკულუმის შემუშავება და განვითარება, ხოლო დამხამრე პროცესებად პერსონალის მართვა და განვითარება,

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება, ინფრასტრუქტურის განვითარება, სასკოლო საზოგადოების ინფორმირება, ფინანსური მართვა, მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის შინაგანაწესის 22-ე მუხლი მოიცავს გასაჩივრების მექანიზმებს. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი სახელწოდებით ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის წესი „ , რომელშიც აღწერილია განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, განხილვის ვადები, დისციპლინური სახდელის შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და ვადები. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები შეიცავს მითითებას სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრების უფლების თაობაზე.
ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას არ ჰქონია გადაწყვეტილების გასაჩივრების ან დირექტორის მიმართ პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევა.
სკოლის მიერ შემუშავებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურა მთლიანობაში ქმნის საჩივრების განხილვის სისტემას.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი სახელწოდებით - მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, მასწავლებლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები(**2025 წლის 05 სექტემბრისN 02.34 ბრძანება**). აღნიშნული დოკუმენტის მიზანია სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების წევრების უსაფრთხოებისა და მათი კანონიერი უფლებების დაცვა.
გარდა ზემოაღნიშნულისა, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმებს წარმოადგენს სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია, როგორიცაა სკოლის შინაგანაწესი, გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმები, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, მშობლებთან გაფორმებული

ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს მოსწავლის უფლებების დაცვის დებულებებს და შესაბამისობაშია ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილ უფლებებთან.
სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და დისციპლინური გადაცდომების შესახებ ინფორმაციას, რაც წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების კანონიერი უფლებების დაცვის გარანტიებს.
როგორც მშობლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლის მხრიდან მათი უფლებების დარღვევის არცერთი ფაქტი არ ყოფილა. სკოლა ყოველთვის მოქმედებს კანონის ფარგლებში და ღიაა თანამშრომლობისთვის.
შესაბამისად,
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- გაკვეთილზე დასწრებისა და უკუკავშირის ფორმები;
- მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, მასწავლებლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- განცხადებისა და საჩივრების განხილვის წესი;
- პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის დებულება, ასევე, საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი (2025 წლის _05__სექტემბრის ბრძანებით) , რომელიც განსაზღვრავს მშობლის

სკოლაში გამოცხადების, მასთან კომუნიკაციის, ურთიერთობის ფორმებისა და პრინციპების შესახებ საკითხებს. აღნიშნული დოკუმენტით, მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ მათი ინფორმირება ხდება:

- მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით);
- ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით;
- მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს;
- ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით;
- სოციალური ქსელში შექმნილი თითოეული კლასის დახურული ჯგუფის მეშვეობით..

გარდა ამისა, როგორც მშობლებთან ინტერვიუდან დადასტურდა , რომ მათ ყოველთვის აქვთ შესაძლებლობა, დამრიგებელთან შეთანხმებით , ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან ან/და სხვა საკითხებთან დაკავშირებით სასაუბროდ.
შესაბამისად,
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

კოლეგიური ორგანოების სახით სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლამ წარმოადგინა მათი დებულებები , სამუშაო გეგმები და მუშაობის ამსახველი ოქმები, გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში.
მშობლებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან სასკოლო ცხოვრების შესახებ, ფაქტობრივად, ყოველდღიური კომუნიკაცია აქვთ დამრიგებლებთან და ფლობენ ინფორმაციას სკოლის საქმიანობის შესახებ.
მოსწავლეებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ სადამრიგებლო საათსა და სამოქალაქო განათლების გაკვეთილის ფარგლებშიც ჰქონიათ მსგავსი აქტივობები და საშუალება ეძლეოდათ საკუთარი მოსაზრებები გამოეთქვათ სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ, ასევე დაეფიქსირებინათ სურვილები ცვლილებებთან დაკავშირებით, ერთ-ერთი საკითხი ეხებოდა ფორმებს, სკოლის დირექციამ გაითვალისწინა მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ წარდგენილი ინიციატივა და მათი ჩართულობით შეირჩა მოსწავლის ფორმის ესკიზები, რომელიც შემდეგ დამტკიცდა სკოლის ფორმად.

მოსწავლეებისა და მშობლების ინტერვიუებიდან დადასტურდა, რომ სკოლა ითვალისწინებდა მშობლების აზრს და თანამშრომლობენ ჩართულები არიან სასკოლო ცხოვრებაში, თუმცა ვერ წარმოადგინა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და დასკვნა.

სკოლას მიეცა რჩევა, სასურველია, კველევებისთვის შეადგინონ გამოკითხვის ფორმები (კითხვარები), შედეგების ანალიზი და დასკვნა წარმოადგინოს დოკუმენტის სახით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- კათედრის ოქმები;
- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის დებულება.
- ინტერვიუები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული**

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების საფუძველზე , სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი(**2025 წლის 05 სექტემბრისN 02.34 ბრძანებით**), რომელშიც გაწერილია უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, პასუხისმეგებელი პირები, რეგულაციები. დოკუმენტის შესაბამისად სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც აკონტროლებს დაწესებულებაში შემთვლელ/გამომსვლელ პირებს , ასევე ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი , სკოლის გარე და შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია სამეთვალყურეო 9 კამერა. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ასევე პასუხისმეგელი პირები არიან მორიგე მასწავლებლები.

სკოლის ტერიტორია დაცულია შლაგბაუმით, შენობა-ნაგებობის პირველი სართული ადაპტირებულია . სკოლას არ აქვს ეზო და ღია სპორტული მოედანი.

ექსპერტთა წინა ვიზიტისას სკოლას შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან არ ჰქონდა შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა . სკოლამ მითითებულ ვადებში შეასრულა ავტორიზაციის საბჭოს სხდომის მიერ 2025 წლის 15 იანვარს N56194 სხდომის ოქმის გადაწყვეტილების შესაბამისად ვალდებულება და მიმდინარე ვიზიტისას ექსპერტებს წარუდგინა საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა, (**04 .02. 2026 წელი , ბრძანება N 02.04**) და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული შენობა - ნაგებობის მდგრადობისა და ექსპლუატაციის დასკვნა. რომელშიც წერია, რომ შენობა საჭიროებს რეაბილიტაციას, თუმცა ექსპლუატაციისთვის უსაფრთხოა. დათვალიერებით დადგინდა, რომ ყველა სართულზე გამოკრული აქვთ საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის გეგმის შესაბამისად ყველა სართულზეა განთვსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.
სკოლამ ვერ წარმოადგინა მიმართავა ან/და დასკვნა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,**

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთენ ერთად დანართების სახით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრული აქვს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის დასკვნის მოპოვების ვადები (17.14.26წ-

01.09.26 წ) და განცხადება 20.04.26 წ. შუამდგომლობის მოთხოვნით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედ უწყებასთან .

ზემოაღწერილი მოწმობს , რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები , შესაბამისად , ***ინდიკატორი N3.4.1.1*** შეფასდა **მეტწილ შესაბამისი.**

სკოლას მიეცა რეკომენდაცია :

სკოლამ უფლებამოსილ უწყების მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ წარმოადგინოს შესაბამისობის გეგმაში გეწერილ ვადებში 17.14.26წ-01.09.26 წ

შესაბამისად,

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებული

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, დათვალიერებისას დადასტურდა , რომ იგი კანონმდებლობის შესაბამისადაა აღჭურვილი, სკოლა ჰყავს ერთი ,შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, ექთანი. ვიზიტისას დაგამოწმებული იქნა მედიკამენტებია ვადები, ასევე მომართვიანობის ჟურნალები. **აღრიცვის ჟურნალი არ შეესაბამებოდა №41/ნ/01-23/ნ2022 წლის 21 მარტის. დადგენილების მოთხოვნებს.** დათვალიერებისას დადგინდა, **რომ სამედიცინო ოთახში არ იყო მაცივარი.**

მოსწავლეებთან და ექთანთან ინტერვიუებიდან დადგინდა , რომ ექთანი მოქმედებს სკოლის მიერ დადგენილი მექნიზმებისა და ნორმატივების შესაბამისად. ინტერვიუირებისას მან აღნიშნა, რომ მოსწავლის სახლში გაშვების საჭიროების შემთხვევაში ,უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლაში იძახებენ მშობლს , ბავშვის გაყვანამდე იგი მომართვიანობის ჟურნალში ხელისმოწერით აცხადებს წაყავნაზე თანხმობას და იღებს პასუხისმგებლობას , რაც დადასტურდა როგორც მშობლებისა და მოსწავლეების ინტერვიუებიდან ასევე ჟურნალების დათვალიერებით.

ექთანთან გაიცა რეკომენდაცია, იხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ფორმებით (№41/ნ/01-23/ნ2022 წლის 21 მარტი). სკოლას გამოცხადებულია აქვს კონკურსი ექიმის ვაკანსიაზე.

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,**

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთენ ერთად დანართების სახით მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისობი გეგმა , რომელშიც განსაზღვრული ჰქონდა ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადები 30.03.26წ-30.03.27 წ. თუმცა სკოლამ შეძლო , განსაზღვრულ ვადაზე ადრე აღმოეფხვრა ხარვეზი და წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ფორმების(№41/ნ/01-23/ნ2022 წლის 21 მარტი) შესაბამისი მომართვიანობის ჟურნალის ფოტოები, ასევე მაცივრის შეძენის დამადასტურებელი ქვითარი და მაცივრის ფოტო.

ზემოაღწერილის გათავლისწინებისთ, ექსპერტების მიერ გაზიარებული იქნა სკოლის პოზიცია და შესაბამისად, **ინდიკატორი N 3.4.1.2** შეფასდა, **როგორც შესაბამისი.**

შესაბამისად,

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლას არ ჰყავს მანდატური ,თუმცა ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული გადამზადებული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომელიც ეფუძნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანების -„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ მოთხოვნებს. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სკოლა უზრუნველყოფს ასევე შინაგანაწესით განსაზღვრული წესების შესაბამისად. დერეფნებში გამოკრულია 112 ის ნომერი , . სკოლაში დადგენილია სართულებზე მორიგეობის გრაფიკი, რომლის საფუძველზე მასწავლებლები დასვენების დროს აკონტროლებენ სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგს.

სკოლაში აქვს 9 სამეთვალყურეო კამერა, 4 გარე დამონტაჟებულია გარე პერიმეტრზე, ხოლო 5 შიდა პერიმეტრზე. ფაქტობრივად, კონტროლდება სკოლის მთლიანი ტერიტორია. მოსწავლეებთან გასუბრებით დადგინდა, რომ ისინი

უმეთალყურეოდ არ გადაადგილდებიან გარე პერიმეტრზე. მშობლებმა კი აღნიშნეს, რომ სკოლის სივრცეში მათი შვილები უსაფრთხოდ არიან და სრულ ნდობას უცხადებენ სკოლას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლა მცირეკონტინგენტიანია, ვიზიტის პერიოდში ირიცხებოდა 107 მოსწავლე. სკოლაში სწავლობენ როგროც ქართველი , ასევე სომეხი და აზერბაიჯანელი ბავშვები. ვიზიტისას გარემოზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ სკოლაში მეგობრული , ჰარმონიული და ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო გარემოა.
მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლისთვის ან/და ადმინისტრაციისთის მიმართვისას , ყოველთვის გრძნობენ მხარდაჭერას და ეხმარებიან პრობლემების გადაჭრაში. სკოლაში არასდროს დაფიქსირებულა ბულინგის ფაქტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენული ნორმების დაცვის წესი და მექანიზმები. სკოლაში დასაქმებულია ორი დამლაგებელი . ასევე , სკოლის ექთანთან გასაუბრებით დადგინდა , რომ იგი მუდმუვად მეთვალყურეობს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას .
სკოლა აქვს წყლის რეზერვუარები და უზრუნველყოფს წყლის უწყვეტად მოწოდებას. დღის ბოლოს შიდა სივრცეები იწმინდება სველი წესით.
ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში ნამდვილად დაცულია ჰიგიენური ნორმები.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, რომელიც აღწერს პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობებს. სკოლამ ასევე, წარმოადგინა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე შესაბამისი თანხმობის ფორმები. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, ახორციელებს დასაქმებულ პირთა და მოსწავლეთა ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე. სკოლაში გამოიყნება მხოლოდ ლიცენზირებული პროგრამები, სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდზე. განსაზღვრულია ვებგვერდზე პასუხისმგებელი პირი. ხოლო საარქივო მასალები ინახება ცალკე გამოყოფილ სივრცეში. მოსავლეთა და პერსონალის პირადი საქმეები ინახება საქმისმწარმოებელთან, დაცულ ოთახში. კომპიუტერები, რომლებშიც მუშავდება კონფიდენციალური ინფორმაცია დაცულია პაროლებით, პროგრამული განახლების სისტემებით. თითოეულ ელექტრონულ პლატფორმას (E-school,), რომელსაც სკოლა იყენებს, აქვს ინდივიდუალური მომხმარებლის სახელი და პაროლი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა დირექტორისა და დირექტორის მოადგილის განმარტებით, სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მეთოდს , რითაც ადგენს და აფასებს დაწესებულებაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების ეფექტიანობას. თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას,

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,**

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთენ ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა , რომელშიც განსაზღვრული აქვს ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადები 17.04.26წ-17.04.27 წ. შესაბამისობის გეგმაშივე დაფიქსირებულია სკოლის პოზიცია, ,, სკოლა ყოველდღიურ რეჟიმში ზრუნავს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებაზე, თუმცა დოკუმენტურად აღნიშნული არ ხორციელდებოდა, ხერხემი მაქსიმალურად გაითვალისწინებს და განახორციელებს პერიოდულ შეფასებას დოკუმენტური ფორმით“

ზემოაღწერილი მოწმობს , რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები, თუმცა მისი პოზიცია არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს, მნიშვნელოვანია, არსებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების

ეფექტურობის პერიოდული შეფასება, რათა შეფსების ანალიზის საფუძველზე დროულად იქნეს მიღებული ზომები და გაუმჯობესდეს მექანიზმები.
შესაბამისად ,**ინდიკატორი N 3.4.1.8** შეფასებულია როგორც **შეუსაბამო.**

ხარვეზი: სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ლ, სამხარაულის სახ. სასამართლოს ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის ტექნიკურ უსაფრთხოებაზე;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;
- პირველადი სამედიცინო დახმარების წესი;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა
3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლამ წარმოადგინა განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან , რომლის მიხედვით, დაწესებულების მისამართია: ქ. ახალციხე , დიდიმამიშვილი ქ. № 3. უძრავი ქონების საკადასტრო ნომერია: **ს/კ 224089420.** სკოლის შენობა-ნაგებობების საერთო ფართი: **450.00 კვ.მ ხოლო მიწის ნაკვეთი 450.კვ.მ.** სკოლის შენობა-ნაგებობის დანიშნულებაა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება. სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია 1 სასწავლო კორპუსი;

სასწავლო კორპუსი ორსართულიანი შენობა, ორი სადარბაზოთი. შენობა აგებულია ქვით და აგურით. სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ბეტონის საფეხურებიანი კიბის უჯრედით , რომელსაც მოწყობილი აქვს ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი.

პირველ სართულზე განთავსებულია :

საკლასო ოთხები, სამედიცინო კაბინეტი, ქიმიის კაბინეტი.

მეორე სართულზე განთავსებულია :

სამასწავლებლო, სარკეებიანი დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია , კლასკაბინეტი და კლასები . შენობა გადახურულია თუნუქის სახურავით. კორპუსის საერთო ფართი .... 694.60კვ.მ (პირველი სართული 344.60 კვ.მ, მეორე სართული350კვ.მ.). სკოლის შენობაში არის წყლის გაყვანილობა, ელექტროენერგია და ცენტრალური გათბობა.

სკოლის სასწავლო კორპუსის პირველი სართული ადაპტირებულია შშმ პირებისთვის, აღჭურვილია შესაბამისი სახანძრო ინვენტარით, საევაკუაციო გეგმებით, სახანძრო სიგნალიზაციით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, საევაკუაციო გზის მაჩვენებლებით (მანათობელი), ცეცხლმაქრებით.

საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას, ვიზიტის პერიოდში არ იყო კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი, თუმცა ჰქონდათ თემატური თავლსაჩინოებები. ქიმიის ლაბორატორიაში დამონტაჟებულია კუსტარულად დამზადებული გამწოვი კარადა და ონკანი, თუმცა ონკანი არ არის მიერთებული წყლის გამსვლელ მილთან . **იგივე გარემოება იქნა აღწერილი ექსპერტეის მიერ წინა ვიზიტის დასწვნაშიც.**

კომპიუტერულ ლაბორატორიაში მიეწოდება საკაბელო ინტერნეტის ერთი ხაზი, რაც ართულებს ტექნოლოგიების გაკვეთილების მოთხოვნების შესაბამისად წარმართვას, რადგან სკოლის სხვა სივრცეებში შეფერხებით მიეწოდება უკაბელო ინტერნეტი (WIFI).

საბუნებისმეტყველო ლაბორატორიასა და კომპიუტერული ლაბორატორიაში განთავსებულია კლასები. დირექციის განმარტებით ხორციელდება კლასების გაცვლა საჭიროებისამებრ. თუმცა კლასების შეცვლის განრიგი სკოლას არ წარმოუდგენია არც კლასთან იყო გამოკრული.

ქიმიის ლაბორატორიაში წყლის ონკანი მიუერთოს წყლის გამშვებ მილს. სკოლას აქვს: 7 პერსონალური კომპიუტერი და 5 ლეპტოპი, , 2 პრინტერი, 2 პროექტორი, 200 მერხი, 230 სკამი, 3285 წიგნადი ფონდი.

დათვალიერებისას დადგინდა, რომ ყველა საკლას ოთახი აღჭირვილია საჭრო ინვენტარით(მერხებითა , სკამებით, დაფებით, მასწავლებლის სკამითა და მაგიდით.)სკოლაში არის ცენტრელური გათბობა.

სკოლაში ამ მომენტისათვის არ ფუქციონირებს ბუფეტი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად,

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები , ინფრასტრუქტურა და ინვენტარი.

მასწავლებლებსა და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა სხვადსხვა ღონისძიებების ჩატარებისას გამოიყენონ პროექტორები, ლეპტოპები, ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით.

სკოლის ბიბლიოთეკის დებულებით უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობა როგორც სკოლის პერსონალისთვის, ასევე მოსწავლისა და მშობლისთვის.

ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია , ფიზიკის ლაბორატორია განთავსებულია მეორე სართულზე . სკოლას კიბეებზე დამონტაჟებული აქვს სართულებზე გადასაადგილებელი ხის პანდუსები, თუმცა დახრის კუთხის გათვალისწინებით , შეუძლებელია გადაადგილება შშმ პირებისთვისს, რაც ასევე შეუძლებელს ხდის საერთო სარგებლობის სივრცეებით სარგემლობას. სკოლა ასევე არ ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული პირი, რომელსაც დაეკისრება შშმ მოსწავლის (პირის) დახმარება ასეთის ყოლის შემთხვევაში.

წინა ვიზიტისას ექსპერტების მიერ მიგნებებში აღწერილი იყო ზემოაღნიშნული ხარვეზი, რომელსაც სკოლა დაეთანხმა და შესაბამისობის გეგმის მიხედვით ხარვეზი უნდა გამოესორწბინათ 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 15 სექტემბრამდე პერიოდში.

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,**

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დანართების სახით მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისობი გეგმა , რომელშიც განსაზღვრული ჰქონდა ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადები 30.03.26წ-30.03.27 წ.

თუმცა სკოლამ შეძლო , განსაზღვრულ ვადაზე ადრე აღმოეფხვრა ხარვეზი და წარმოადგინა 20.04.26წ.-ის ბრძანება # 02.08 სასკოლო საზოგადოების შშმ პირისთვის დამხმარე პირის გამოყოფის შესახებ.
ზემოაღწერილის გათავლისწინებისთ, ექსპერტების მიერ გაზიარებული იქნა სკოლის პოზიცია შესაბამისად. **ინდიკატორი N 3.5.1.2** შეფასდა, **როგორც შესაბამისი.**

შესაბამისად,
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს საბიბლიოთეკო სივრცე, სადაც განთავსებულია წიგნადი ფონდი. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, ეს პოზიცია შეთავსებული აქვს დირექტორის მოადგილეს. რომლის ფუნქციებშიც შედის საბიბლიოთეკო ფონდების რაციონალურად ფორმირება და ორგანიზება, მათი დაცვა, აღრიცხვა, დამუშავება, საცნობარო-საძიებო საშუალებების შექმნა და მათი გამოყენების ორგანიზება საბიბლიოთეკო დარგში მოქმედი წესების დაცვით, ფონდის კატალოგიზაცია - კლასიფიკაცია (ბიბლიოთეკაში არსებული წინგების აღრიცხვა და კატალოგების შექმნა), წიგნადი ფონდის მოწესრიგება, მოსწავლეებისთვის დამატებითი საკითხავი ლიტერატურის შერჩევაში და წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების შეძენაში დახმარება და სხვა.
სკოლას შემუშავებული აქვს დადგენილი საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებობის წესები. საბიბლიოთეკო რესურსების გადამოწმებით დადგინდა, **რომ წიგნები არ აქვთ რეგისტრაციაში გატარებული,** ასევე არ აქვთ კარტოთეკა. მოსწავლეების მიერ წიგნის გატანის შემთხვევაში ივსება მკითხველის ბარათი, ფორმულიარი. საკითხავი ლიტერატურა დამუშავებულია და ბეჭედდრტყმულია მე-17 გვ-ზე .
ბიბლიოთეკაში არ ჰქონდათ ტექნიკურად აღჭურვილი შესაბამისად, მოსწავლეებს შესაძლებლობა არ აქვთ , საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლონ ციფრული ბიბლიოთეკით.
როგორც დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა , რომ მოსწავლეები ნაკლებად სარგებლობენ ბიბლიოთეკით. როგორც დადგინდა ბოლო წლებში არც განახლებულა წიგნადი ფონდი. გამომდინარე იქიდან, რომ ბიბლიოთაკარის ფუნქციები შეთავსებული აქვს დირექტორის მოადგილეს , რაც თავის მხრივ უქმნის დროის დეფიციტს, არაფორმალური განათლების მიმართულებით ფაქტობრივად ვერ ხერხდება ბიბლიოთეკის ჩართულობა.

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,** ვინაიდან სკოლა არ აწარმოებს წიგნადი ფონდის სარეგისტრაციო ჟურნალს(კატალოგიზაციას), არ აქვს კარტოთეკა.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დანართების სახით წარმოადგინა შესაბამისობი გეგმა , რომელშიც განსაზღვრული ჰქონდა ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადები 17.04.26წ-17.04.27 წ. რომელშიც აღნიშნულია, რომ სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები, რომელიც აქამდეც ჰქონდა და ასევე აქვს კარტოთეკა, კერძოდ ბარათები, რომელსაც იყენებს წიგნების გაცემის დროს, თუმცა სკოლა გაითვალისწინებს და უფრო ყურადღებით მოეკიდება აღნიშნულ საკითხს. თუმცა , უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტისას ექსპერტების მიერ მოთხოვნილი იქნა ზომოჩამოთვლილი მტკიცებულებები, მაგრამ სკოლის მიერ არ იქნა მოწოდებული.
სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო ჟურნალის, მკითხველის ბარათების, კათოთეკისა და ბიბლიოთეკაში განთავსებული ლეპტოპის ფოტოები, რაც მოწმობს, რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და აღმოფხვრა ხარვეზი.
ზემოაღწერილის გათავლისწინებისთ, ექსპერტების მიერ გაზიარებული იქნა სკოლის პოზიცია და ის, რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები. შესაბამისად. **ინდიკატორი N 3.5.1.3** შეფასდა, როგორც **შესაბამისი.**

რჩევა : სასურველია სკოლამ პერიოდულად განაახლოს წიგნადი ფონდი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, და ხელი შეუწყოს წიგნის კითხვის პოპულარიზაციას.

შესაბამისად,
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ქმნის ინკლუზიურ გარემოს. შენობის პირველ სართულზე არის ადაპტირებული საპირფარეშო , **რომელიც ფართის სივიწროვის გამო არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 2014 წლის 6 იანვარი, თავი IX,მუხლი 30, პუნქტი12)** პანდუსები დამონტაჟებულია პირველი სართულის დერეფნებში ,ასევე მეორე სართულზე ასასვლელ კიბეზე, თუმცა მისი დახრის კუთხის გათვალისწინებით , ეტლით მოსარგებლე (მოსწავლის ყოლის შემთხვევაში) პირი ვერ შეძლებს სკოლის მე-2

სართულზე გადაადგილებას, სადაც განთავსებულია დარბაზი, კომპიუტერული და ფიზიკის ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა.

წინა ვიზიტისას ექსპერტების მიერ დასკვნეში აღწერილია ზემოაღნიშნული გრემოება „სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის. მართალია სკოლის კიბეებზე დამაგრებულია ხის პანდუსები, თუმცა დახრის კუთხის გათვალისწინებით, მათზე ეტლით გადაადგილება შეუძლებელია. პირველ სართულზე არის სველი წერტილი, რომელიც არ არის სწორად ადაპტირებული, რამდენადაც მასში ეტლის მოტრიალება ასევე შეუძლებელია“ , **სკოლას შესაბამისობის გეგმის მიხედვით ხარვეზი უნდა გამოესორწბინა 2024 წლის 5 დეკემბრიდან, 2025 წლის 15 სექტემბრამდე პერიოდში, თუმცა მიმდინარე ვიზიტისას იგივე მდგომარეობა დგვხვდა. რაც მოწმობს, რომ სკოლას არ გაუთვალისწინებია მათი რეკომენდაციები და არ შეასრულა აღებული პასუხისმგებლობები.**

ასევე, სკოლას არ აქვს რესურს ოთახი, ამიტომ , ექსპერტთა აზრით, სკოლა ვერ ქმნის სსსმ და შშმ მოსწავლისთან ეფექტურად მუშაობისთვის საჭირო გარემოს.

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,**

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობი გეგმა , რომელშიც განსაზღვრული ჰქონდა ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადები 30.03.26წ-30.03.27 წ. თუმცა სკოლამ შეძლო , განსაზღვრულ ვადაზე ადრე აღმოეფხვრა ხარვეზის ნაწილი. კერძოდ, შეძლო რესურს ოთახის მოწყობა, ასევე ადაპტირებული საპირფარეშოს ზომები მოიყვანა საქ. მთავრობის №41 დადგენილების, IX თვის, 30-ე მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. დანართის სახით მტკიცებულებად წარმოადგინა რესურს ოთახისა და ადაპტირებული საპირფარეშოების ფოტოები.

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლამ ბრძანებით განსაზღვრა შშმ პირის დამხმარე პირი , რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ეტლით მოსარგებლე პირის მეორე სართულზე გადაადგილებას, ექსპერტები ითვალისწინებენ სკოლის არგუმენტს კიბის რეკონსტრუქციასთან მიმართებაში და მათი გადაწყვეტილებით **ინდიკატორი N 3.5.1.4 შეფასდა როგროც შესაბამისი.**

.

შესაბამისად,

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლას არ აქვს ეზო და ღია სპორტული მოედანი . მეორე სართულზე აქვს დარბაზი, რომელსაც იყენებენ როგროც სპორტის გაკვეთილებისთვის, ასევე სხვადსხვა სოციო-კულტურული და არაფორმალური აქტივობებისთვის .
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის ინფრასტრუქტურა;
- სკოლის სართულების გეგმა.
- ბიბლიოთეკით სარგებლობი წესი;
- შესყიდვების დოკუმენტაცია

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები
3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც გაყვენილია ინტერნეტი, სკოლას დადებული აქვს ხელშეკრულება სილქნეტთან. სკოლის შენობაში დამონტაჟებულია 3 Wi-Fi-ის აპარატი, რომლის საშულებითაც სკოლის შენობა და მიმდებარე პერიმეტრი დაფარულია ინტერნეტის ქსელით.
კომპიუტერი , რომელიც გამოიყენება საქმისმწარმოებლისა და დირექტორის მიერ ადმინისტრაციული პროცესების სრულფასოვნად წარმართვისათვის, შეერთებულია ინტერნეტკაბელზე, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცესების შეუფერხებლად წარმართვას. პედაგოგებისთვის განკუთვნილია ლეპტოპები და პირნტერი, რომელსაც იყენებენ რესურსების მოსამზადებლად.
სკოლა ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას იყენებს Eschool-ის ბაზაში საქმიანობის განხორციელებისას, ელექტრონული ფოსტით სარგებლობისას, ელექტრონული ჟურნალის წარმოებისას.
თუმცა საგაკვეთილო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისათვის, ტექნოლოგიების გამოყენება ვერ დადასტურდა. წინა ვიზიტისას ინდიკატორი დახარვეზებული იქნა . სკოლამ მითითებულ ვადებში შეძლო ხარვეზის გამოსწორობა, მიმდინარე ვიზიტისას ჰქონდა 12 კომპიუტერი, აქედან 8 ერთეული განთავსებული იყო კომპიუტერულ ლაბორატორიაში.
შესაბამისად,
ინდიკატორის მოთხოვნა ადაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შიდა წესები, აღნიშნული გათვაისწინებულია, როგორც მატერიალური რესურსებით, ასევე, ლაბორატორიით სარგებლობის წესებში. კომპიუტერულ ლაბორატორიაში და დერეფანში გამოკრული იყო ლაბორატორიით სარგებმობის განრიგი.
სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, IT მენეჯერი, სკოლის ვებ. გვერდის ადმინისტრირებაზე. მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა დადგენილი წესის თანახმად ისარგებლონ ინფორმაციული ტექნოლოგიებით.
შესაბამისად,
ინდიკატორის მოთხოვნა ადაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი;
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების შიდა წესი, რომელიც ადგენს სკოლის საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, სკოლაში შემოსულ დოკუმენტებზე, განცხადებებსა და წერილებზე მუშაობის წესებს. დოკუმენტი განსაზღვრავს შემოსული დოკუმენტაციის მიღებისა და დამუშავების წესებს, გასული დოკუმენტაციის წარმოების წესებს, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების და სხვა დოკუმენტების გაფორმების წესებს. საქმისწარმოების წესის შესაბამისად დოკუმენტების აღრიცხვა მიმდინარეობს მატერიალურ ჟურნალებში. **ჟურნალების შესწავლისას, დადგინდა, რომ დარღვეული იყო სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოების წესი (თავი 2 , მუხლი 19,მუხლი 20) ჟურნალები არ იყო ზონარგაყრილი, ბეწდით დამოწმებული, დანომრილი, ასევე შესწავლილი სამართლებრივი აქტების ,ბრძანებების ნომერი და შინაარსი არ ემთხვეოდა ჟურნალში გატარებულ სარეგისტრაციო ნომერსა და მოკლე აღწერილობას.**

კერძოდ, 2024 წლის 2-78 ბრძანების შემდეგ ცარიელი იყო ფულრცელი, აღარ ჰქონდათ შეტანილი ბრძანებები, არადა სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტში შეტანილი ცვლილებები დამტკიცებულია 27 ნოემბრის 2-86 ბრძანებით. ჟურნალში კი არცერთი ბრძანება არ არის ასახული.

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება.**

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დანართების სახით მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისობი გეგმა , რომელშიც განსაზღვრული აქვს ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადები 17.04.26წ-17.04.27 წ.

სკოლამ შეძლო ხარვეზის ნაწილობრივ აღმოფხვრა, სარეგისტრაციო ჟურნალები დანომრეს, ასევე დაამოწმეს ბეჭდით. შენიშვნის გრაფაში აღწერილი იქნა შეცდომა და ახსნა-განმარტება დამოწმებული იქნა ხელმოწერითა და ბეჭდით. ასევე აღნიშნულ იქნა, რომ გათვალისწინებული იქნება ექსპერტთა მიგნებები და დაცული იქნება ჟურნალების წარმოების წესი.
ზემოაღწერილი მოწმობს , რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები . შესაბამისად **ინდიკატორი N 3.6.2.1 შეფასდა როგორც შესაბამისი.**

სკოლას მიეცა რჩევა:
რჩევა ; სასურველია სკოლამ , საქმისწარმოების დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველსაყოფად , გაცემული სამართლებრივი აქტები, ბრძანებები , კორესპონდენცია გაცემისთანავე გაატაროს სარეგისტრაციო ჟურნალებში. დაიცვას სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოების წესი საქმისწარმოების დადგენილი წესის შესაბამისად.

შესაბამიმსად,
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა საქმიანობის პროცესში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს როგორიცაა eschool.emis.ge-ს სისტემა, ელექტრონული ფოსტა, ორისის ბუღალტრული პროგრამა. პირველკლასელთა რეგისტრაციას სკოლას ახორციელებს ბმულზე - registration.emis.ge, საკომუნიკაციოთ იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. სკოლა საქმისწარმოების პროცესში არ იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას.

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ შეესაბამება,**

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობი გეგმა , რომელშიც განსაზღვრული აქვს ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადები 17.04.26წ-17.04.27 წ. და აიღო პასუხისმგებლობა , რომ აღნიშნული ვადების დაცვით შეძლებს უზრუნველყოს ელექტორნული საქმისწარმოება.

ზემოაღწერილიდან გამომდინარე , ექსპერტები იზიარებენ სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებს ხარვეზის აღმოფხვრის ვადებს . შესაბამისად, **ინდიკატორი N 3.6.2.2** შეფასდა **როგორც მეტწილ შესაბამისი.**

რეკომენდაცია : სკოლამ უზრუნველყოს ელექტრონული საქმისწარმოება დოკუმენტბრუნვა შესაბამისობეში გაწერილ ვადაში 17.04.26წ-17.04.27 წ .

შესაბამისად,
ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლას გააჩნია პროფილი, რომელშიც შეყვანილია ინფორმაცია სკოლის შესახებ, პერსონალის, მოსწავლეებისა მშობლების შესახებ. შეყვანილია არჩეული სახელმძღვანელოების შესახებ ინფორმაცია და მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა.
შესაბამისად,
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ქ. ახალციხის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს სსიპ-ებთან,, ადგილობრივ თვითმმართველობასთან (მუნიციპალიტეტის მერიასთან). სკოლა ასევე წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას შემოსავლების სამსახურში. საჭიროების შემთხვევაში კომუნიკაციას ამყარებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და სხვა უწყებებთან.

შესაბამისად,
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- სკოლის ელექტრონული ფოსტა;
- სკოლის პროფილი eschool.emis.ge-ზე;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

მშობლებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სკოლა/ დამრიგებლები მშობლების ინფორმირებას ახორციელებს სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების მეშვეობით, ასევე ზეპირსიტყვიერად, სკოლაში ვიზიტისას და სატელეფონო კავშირის საშუალებით. მშობლებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ აქტიურ კომუნიკაციაში იმყოფებიან როგორც სკოლის ადმინისტარციასთან, ასევე კლასის დამრიგებელთან.
სკოლის საკომუნიკაციო ფუნქციას ასევე ასრულებს ელექტრონული ჟურნალი.
სკოლის ვებ-გვერდზე https://xerxemi.edupage.org/ განთავსებულია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია.
შესაბამისად,
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის საქმისმწარმოებელი, მასზე დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე, პასუხისმგებელია სკოლის შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე.
დგინდება, რომ სკოლის ვებ-გვერდითა და სოციალურ ქსელ fb-ის სკოლის საშუალებით ხდება განხორციელებული აქტივობებისა და საგანმანათლებლო სივრცეში არსებული სიახლეების შესახებ დაინტერესებულ პირთა ინფორმირება.
ასევე სკოლის შენობაში არსებულ საინფორმაციო დაფაზე განთავსებულია შიდაპორცესების მაგერულირებელი დოკუმენტები(შინაგანაწესი, სასწავლო გეგმა, მასწავლებლის ეთიკის კოდექსი) . აღნიშნული ინფორმაციისა და

სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით. სკოლას სრულიად აქვს გააზრებული პასუხისმგებლობა მისი საქმიანობის შესახებ უტყუარი ინფორმაციის გავრცელებაზე.
შესაბამისად,
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ინფორმაციის შესაგროვებლად იყენებს არსებულ საკომუნიკაციო არხებს: ვებგვერდს, სოციალურ ქსელს, სკოლის კანცელარიას, ელექტრონული ჟურნალს, ძირითადად კი პირისპირ შეხვედრებისას.
მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სკოლა ყოველთვის თანამშრომლობს მათთან, უსმენს მათ, იღებს და ითვალისწინებს რჩევებს.
შესაბამისად,

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე. სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი https://xerxemi.edupage.org/ , რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, კერძოდ, სწავლების განხორციელების ენაზე.
შესაბამისად,
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან**

დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია დოკუმენტები: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, შიანგანაწესი, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, სკოლის სტრუქტურა, ჩარიცხვის პროცედურები, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა , სტრატეგიული გეგმა , საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, წესრიგის დაცვის მექანიზმები, სკოლის დებულება, თვითმმართველობის დებულება, საქმის წარმოების წესი,სასკოლო სასწავლო გეგმა, განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა, გასაჩირვების მექანიზმები და საკონტაქტო ინფორმაცია. როგორც დირექტორმა აღნიშნა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებს ატვირთავენ სასწავლო წლის დასრულების შემდეგ.
შესაბამისად,
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული

..
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ-გვერდი https://xerxemi.edupage.org/
- სოციალური ქსელი;
- ელექტრონული ჟურნალი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი, შემოსავლები მოსწავლეთა გადასახადები და იჯარით გაცემული ფართის თვიური ქირა.

დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა , რომ სკოლის დარბაზი იჯარის აქვს გაცემული ცეკვის სტუდიაზე. ექსპერტებმა გამოვითხოვეთ იჯარის ხელშეკრულება , რომელიც სკოლამ არ წარმოადგინა.

სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტით დადგინდა, რომ სკოლის მომდევნო წლის ბიუჯეტი იგეგმება მიმდინარე წლის ბოლოს, მომხდარი ფინანსური ცვლილებების მიხედვით.

სკოლის თანხების ხარჯვა ხორციელდება სამოქმედო გეგმით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად და სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

ბუღალტერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ფინანსურ ანგარიშგებას (წლიურ ბალანსს) წარუდგენს ახალციხის რესურსცენტრს საანგარიშო წლის დასასრულს თებერვლის თვეში.

სკოლამ წარმოადგინა 2025 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის ოქმი , რომელშიც აღწერილია ბალანსზე არსებული მატერიალური რსეურსი.

ბუღლტერმა საუბრისას აღნიშნა, რომ სკოლას ფაქტობრივად არ ჰყოფნის ბიუჯეტი, რათა გამოიყოს ფინანსური რესურსი მატერიალურ- ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმების დოკუმენტში გაწერილი მიზნების (მე-3 პუმქტი) შესასრულებლად . ფინანსური რესურსის ეფექტურად მართვისათვის ჩატარდეს სრული ინვენტარიზაცია და დადგენილი საჭიროებების შესაბამისად დაიგეგმოს ბიუჯეტი.

დასკვნის პროექტში მოცემული ინდიკატორი შეფასებული იყო , როგორც **არ**

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობი გეგმა , რომელშიც განსაზღვრული აქვს ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადები 17.04.26წ-17.04.27 წ. სკოლამ აიღო პასუხისმგებლობა , რომ აღნიშნული ვადების დაცვით უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, თუმცა, რა თქმა უნდა, იზრუნებს ბიუჯეტის გაზრდაზეც, სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმების დოკუმენტში გაწერილი მიზნების (მე-3 პუმქტი) შესასრულებლად .

ზემოაღწერილი მოწმობს , რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები . ექსპერტები ითალისწინებენ რა **N 3.4.1.2** და **N 3.4.1.2** ინდიკატორების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ფინანსური რესურსი გამოყოფის ფაქტს(ექიმის კაბინეტის აღჭურვა, სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება) **ინდიკატორი N 3.7.1.1**შეფასდა როგორც **მეტწილ შესაბამისი.**

გაიცა რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში(17.04.26წ-17.04.27 წ. **)შეძლოს ფინანსური რესურსის გაზრდა და უზრუნველყოს მატერიალურ- ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმების დოკუმენტში გაწერილი მიზნების (მე-3 პუმქტი) შესასრულებლად .** შესაბამისად,
ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლის ბიუჯეტის განკარგვს სკოლის დირექტორი . ფინანსური ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება და შესრულების ანგარიში წარედგინება ფინანსურ სამსახურს. შესყიდვების გეგმა იტვირთება შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში Eplan-მოდულში. შესყიდვებს სკოლა ბაზრის კვლევის ანალიზის საფუძველზე გეგმავს , შერჩეულ ორგანიზაციასთან იდება შესაბამისი ხელშეკრულება ორივე მხრიდან ელექტრონულად დამოწმებული ხელმოწერით. დასაწყისში სკოლის დირექცია ახორციელებს წინა თვის შემოსავლებისა და ხარჯების მონიტორინგს, რაც ხელს უწყობს ბიუჯეტის თანხების სწორ განკარგვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიუჯეტი;
- ფინანსური ანგარიშგება;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს არაერთი შიდა რეგულაცია(შინაგანაწესი,სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის, ჩარიცხვა-ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის წესები, გასაჩივრების მექანიზმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზ,მები ,მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება და სხვა), რომლებიც ემსახურება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლის წახალისების ფორმებს და გამოყენების წესს, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისმგებლობის სახეებს, დისციპლინური წარმოების წესს.მოსწავლეთა უფლებებსა და ძირითად გარანტიებს არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია სემესტრული და ექსტერნის გამოცდის ჩატარების მექანიზმები, ინკლუზიური განათლების რეგულაციები, მათ შორის ისგ შემუშავებისა და შინ სწავლების პირობები. დამრიგებლის დებულებით განსაზღვრულია მოსწავლესა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მიეწოდოს ინფორმაცია გაცდენებისა და მოსალოდნელი ექსტერნის გამოცდების შესახებ. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში მათი უფლებები დაცულია და ფლობენ ინფორმაციას ძირითადი უფლებებისა და მოვალეობებთან დაკავშირებით, მშობლები კი აღნიშნავენ, რომ მათი შვილის სკოლაში ყოფნისას თავს მშვიდად გრძნობენ, რადგან სკოლაში შექმნილია უსაფრთხო სასწავლო გარემო.

.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სასკოლო რეგულაციები, რომლებიც ემსახურება მოსწავლეთა უფლებების რეალიზებას,გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის, კერძოდ, რეგულაციების ნაწილი განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე, ნაწილი ასევე სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირთათვის. აღნიშნული რეგულაციების განიხილვა ხდება მშობელთა კრებებზეც და პედაგოგიურ საბჭოზე. რეგულაციები არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ პრაქტიკულად არის გაზიარებული. მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს მოსწავლეებმა აღნიშნეს .აღნიშნული საკითხების გაცნობა ხდება სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში. .ასევე, იციან საჭიროების შემთხვევაში ვის უნდა მიმართონ და მოიძინონ ინფორმაცია თავიანთი უფლებების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლაში მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის პროცესში გადამოწმდა სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები, ხელშეკრულების შინაარსი განსაზღვრავს მხარეებს და მოიცავს შემდეგ თავებს: ხელშეკრულების საგანი, მხარეთა პასუხისმგებლობა, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მხარეთა რეკვიზიტები. მხარეთა უფლება-მოვალეობები უფრო დეტალურად , მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესი, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, შეწყვეტის წესი და სხვა დამატებითი პირობები სკოლის სხვა რეგულაციურ დოკუმენტებში არის გაწერილი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ხერხემი კერძო სკოლის დებულება;
- შპს ხერხემი კერძო სკოლის შინაგანაწესი;
- შპს ხერხემი კერძო სკოლის მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვის და გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზმი;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი
- მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- ინკლუზიური განათლების პოლიტიკის დოკუმენტი
- მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- მშობელთა კრების ოქმები;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის საინფორმაციო დაფა.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა აქვს დოკუმენტი „შპს ხერხემი კერძო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი“(2025 წლის 05 სექტემბრის ბრძანება N 2.34) აღნიშნული მექანიზმის შინაარსი შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს. სკოლაში არსებობს პასუხისმგებელი პირი, საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობაა აწარმოოს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.სკოლაში მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით საქმისმწარმოებელმა დაგვათვალიერებინა მობილობის, სტატუსის შეწყვეტისა და კლასიდან კლასში გადაყვანის მაგალითები. მოსწავლეთა ჩარიცხვის, მობილობის, საფეხურის დაძლევისა და სტატუსის შეჩერების წესი გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

დოკუმენტაციისა და პრაქტიკის შესწავლით, ინტერვიუებით დადასტურდა, რომ ყველა სტატუსის ცვლილება, მობილობა და ამორიცხვა ხდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა აღნიშნულ პროცესებს სრულად აწარმოებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების

შესაბამისად. ვიზიტისას შესწავლილ იქნა მოსწავლეთა პირადი საქმეები, გავეცანით მოსწავლეთა (შერჩევითი პრინციპით) ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს, სკოლის მიერ გამოცემული შესაბამის ბრძანებებს, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ სკოლა იცავს და კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებით ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისშივე ხდება მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ; დამრიგებელი ვალდებულია შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მოსწრების, ქცევისა და გაცდენების შესახებ.სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებაში გაწერილია საგანმანათლებლო მომსახურების საფასური . გასაუბრებისას მშობლებმა აღნიშნეს, რომ მათ შეუძლიათ თითოეული საგნის მასწავლებელთან განსაზღვრულ დროს გასაუბრება. ვებ. გვერდისა და სოციალური გვერდის საშუალებით, ხელმისაწვდომია ყველა სიახლე და სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნომრები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას.
აქედან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები და პროგრამები, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრების, სკოლის სოციალური ქსელისა და ვებ-გვერდის დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის უტყუარი, სანდრო, განახლებული, არადისკრიმინაციული და კანონმდებლობის შესაბამისი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ხერხემი კერძო სკოლის დებულება.
- შინაგანაწესი
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;
- შპს ხერხემი კერძო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი;

- მოსწავლეთა მობილობის შესახებ გამოცემული ბრძანებები;
- სკოლის ვებ. გვერდი;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- სადამრიგებლო პროგრამა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი(დირექტორის 2025 წლის 05 სექტემბრის N02.34 ბრძანება), რომლის მიზანია მოსწავლეს დაეხმაროს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას, დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია

სასკოლო საზოგადოებასთან და ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში. ეს მექანიზმი ვრცელდება პირველკლასელებზე, მობილობით გადმოსულ მოსწავლეებსა და იმ მოსწავლეებზე, რომლებსაც ენობრივი ბარიერი ან სხვა მიზეზით გამოწვეული ადაპტაციის პრობლემები აქვთ. დოკუმენტი მოიცავს ასევე მშობლებისთვის რეკომენდაციას სკოლასთან ადაპტაციის ხელშესაწყობად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობა იწყება სწავლის დაწყებამდე და მოიცავს როგორც აკადემიურ, ისე სოციალურ ასპექტებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი ადაპტაციის წესის მიხედვით დამრიგებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში და წაახალისოს მოსწავლეები, დაამყარონ კომუნიკაცია ახალ გადმოსულ მოსწავლესთან. ადაპტაციის მექანიზმი მოიცავს აქტივობებს, რომლებიც მიმართულია მოსწავლეების ურთიერთგაცნობასა და დაახლოებაზე. სწავლის პირველ დღეს ეწყობა საზეიმო ღონისძება სკოლის ეზოში სახალისო აქტივობებით, ხოლო დამრიგებლის მიერ პირველივე სადამრიგებლო საათი ეთმობა თანაკლასელების გაცნობა-დაახლოებას. პირველკლასელი მოსწავლის მშობლის ინფორმაციით, სასწავლო წლის დაწყებამდე მათ ჰქონდათ ინდივიდუალური შეხვედრა მომავალ დამრიგებელთან, რომლის ფარგლებში როგორც მოსწავლე, ისე მშობელი გაეცნენ სასკოლო გარემოს.

ჩატარებული ინტერვიუების დროს ახლადგადმოსული მოსწავლის მშობელმა და საბაზო საფეხურის რამდენიმე მოსწავლემ დაადასტურეს რომ აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგენს ფორმალური ტიპის დოკუმენტს , არამედ,ის ასახავს რეალურად დანერგილ პროცესებსა და მექანიზმებს. სწორედ აღნიშნული მექანიზმების საფუძველზე მათ შეძლეს ახალ სასწავლო გარემოსთან მარტივად და ეფექტურად ადაპტაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** .

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლაში არ არის ცალკე ფორმალურად გაწერილი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერისა და კონსულტირების პროცესს. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ ეფექტურ მხარდაჭერას.

სკოლაში ,თითოეულ კლასში მოსწავლეების მცირე კონტინგენტი , მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, თითოეულ მოსწავლესთან იმუშაონ ინდივიდუალური მიდგომით და დროულად გამოავლინონ მათი აკადემიური საჭიროებები. ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს დამატებით მხარდაჭერას გაკვეთილების შემდეგ დარჩენის ფორმატში, სადაც მოსწავლეები იღებენ მიზნობრივ დახმარებას და კონსულტაციას სასწავლო მასალის უკეთ ათვისებისთვის.სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული ჯგუფი I-III კლასებში . აღნიშნული დაადასტურეს მონიტორინგის ჯგუფის წევრებთან როგორც მოსწავლეებმა ,ისე მშობლებმა .

რჩევა : სასურველია , მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერისა და კონსულტირების პროცესის ფორმალიზება სკოლამ ცალკე დოკუმენტის სახით ჩამოაყალიბოს .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მოსწავლეებს ეძლევათ დროული მხარდაჭერა ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით მაგ., სატატუსის აღდგენა ან შეწყვეტა, მობილობა, შინსწავლება. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სკოლა რეაგირებს წერილობით განცხადებებზე და ახორციელებს დროულ კომუნიკაციას, მათ შორის დოკუმენტების გაგზავნას მიმღებ სკოლებში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის ერთ-ერთი სტარტეგიული მიზანია მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, შესაბამისად, მნიშვნელოვანია სკოლამ კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისება და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა. სკოლის ცხოვრების ნაწილია სხვადასხვა ხასიათის საკლასო და სასკოლო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება, რაც ინიცირებულია როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეების მიერ. მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს. კერძოდ: მოსწავლეთა ინიციატივით გაიმართა სხვადასხვა არაფორმალური ხასიათის კონკურსი თუ გამოფენა , ლაშქრობა თუ ექსკურსია, სპორტული ხასიათის ღონისძიებები ,რომლებიც სკოლის ფარგლებსაც გასცდა , სკოლამ წარმოადგინა მემორანდუმი ახალციხის სპორტულ სკოლასთან და დღეს უკვე ტრადიციაა ერთობლივი სპორტული ტურნირების ჩატარება . ასევე, როგორც მოსწავლეებმა ,ისე მშობლებმა აღნიშნეს, რომ დირექციას მიმართეს ფორმის ცვლილებასთან დაკავშირებით , რაშიც ადმინისტრაციამ გამოუცხადა მხარდაჭერა და ძველი ფორმა შეცვალეს მათ მიერ შერჩეული ფორმით , რითაც დღეს მოსწავლეებიც და მშობლებიც კმაყოფილები არიან .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

ინტერვიუირების პროცესში სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს მუდმივი კომუნიკაცია მშობლებთან და მოსწავლეებთან მიწოდებული მომსახურებების განხორციელებისა და შემდგომი განვითარებისთვის.
ძირითადი უკუკავშირი ზეპირი სახითაა მიღებული, რისი გათვალსწინებაც გარკვეულ წილად ხდება. თუმცა, სისტემური ხასიათი სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს არ აქვს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლა მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან და სკოლის პერსონალისგან იღებდეს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ.

რჩევა: სასურველია ,სკოლამ მარეგულირებელ დოკუმენტში გაწეროს, თუ როგორ, რა პერიოდულობით და რა მექანიზმებით იღებს უკუკავშირს მოსწავლეებისგან, მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლებისგან, მასწავლებლებისგან და როგორ ხდება ამ უკუკავშირის საფუძველზე მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;
- მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი;
- შინაგანაწესი
- წარმოდგენილი პროექტების აღწერები/ფოტომასალა
- თვითმმართველობის ოქმები.
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი;
- სადამრიგებლო პროგრამა
- მემორანდუმი ახალციხის სპორტულ სკოლასთან .
- მშობლებთან ინტერვიუ.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სკოლაში განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობები.კერძოდ, სკოლას გაფორმებული აქვს რამდენიმე მემორანდუმი ,კერძოდ:სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახემწიფო უნუვერსტეტთან , საქართველოს უნივერსიტეტთან .სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს საინტერესოდ ორგანიზებულ გასვლით ღონისძიებაშიც,კერძოდ ,იმყოფებოდნენ გორის სამხედრო ბაზაზე , პროფესიულ სასწავლებლებში, პერიოდულად ეწყობა სხვადასხვა სასწავლებლების წარმომადგენლებთან შეხვედრები (პეტრე შოთაძის უნივერსიტეტი, საბაუნი) ,რომლის დროსაც მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციას პროფესიების შესახებ.მშობლებმა აღნიშნეს,რომ მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მათი შვილების პროფესიულ თვითგამორკვევასა და მომავალი კარიერული ნაბიჯების დაგეგმვას, მათ დაასახელეს ამის რამოდენიმე კონკრეტული ფაქტიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ სკოლის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე მოსდის სიახლეები საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ღია კარის დღეების ჩატარების შესახებ, სადაც სთავაზობენ რამდენიმე დღიან კონკრეტულ პროგრამებზე ლექციებზე დასწრებას.მიღებულ ინფორმაციას დირექცია აწვდის შესაბამისი კლასის დამრიგებელს, რომლებიც, თავის მხრივ, აცნობენ სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებსა და მშობლებს, ძირითადად სოციალური ქსელების დახმარებით.
სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობები ასევე ადასტურებს, რომ სკოლა აწვდის მოსწავლეებს/მშობლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას კარიერული განვითარების საკითხებზე.**ინიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა იაზრებს წინა გამოცდილებასა და სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის მნიშვნელობას ,თუმცა ამ ეტაპზე გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების გაანალიზებას და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას ახდენს ზეპირი უკუკავშირის საფუძველზე. ეს დადასტურდა ადმინისტარციასთან და მშობლებთან ინტერვიუს დროსაც.
რჩევა : სასურველია სკოლამ ჩაატაროს გამოკითხვა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით ,რომლის შედეგების ანალიზიც უზრუნველყოფს უფრო ხარისხიანი პროფესიული ორიენტაციის მომსახურების განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.
- გასვლითი ვიზიტის დამადასტურებელი ფოტო მასალა
- მოწსავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუები
- სკოლის ვებ-გვერდი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, სადაც გაწერილია სსსმ სტატუსის მოპოვება/ მოხსნის დეტალები , ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაცია/მონიტორინგი , ასევე, კონფიდენციალური და ეთიკური პრინციპების დაცვის ვალდებულებები მხარეებთან ურთიერთობის დროს.სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი მექანიზმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები და პრინციპები; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, გაცდენების აღრიცხვისა და დასწრების წესი. სსსმ მოსწავლეების შინ სწავლებისა და მათი წახალისების მექანიზმები.ასევე სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა. სკოლას არ ჰყავს ამ ეტაპზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მექანიზმიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერის პროცესში სასკოლო საზოგადოების შესაბამისი წევრების ჩართულობას.

. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ადაპტაციის წესი
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით აქვს გახანგრძლივებული სწავლება, რომელსაც უძღვება უმაღლესი განათლების

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით გახანგრძლივებული მუშაობის გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით და მომსახურების მიზანს წარმოადგენს მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტების შინაარსები ვრცელდება გახანგრძლივებული სწავლების დროს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დასაქმებულის პირადი საქმე;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი : 30.04.2026წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: